ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 14 აპრილი, №7 (6420)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

# 14 აპრილი დედა ენის დღეა



### დედა ენის შექმნის ისტორია

„დედა ენა“ ყოველი ჩვენგანის პირველი წიგნია.

„რა ენა წახდეს“. ვიცით და გვსმენია ამ დამაფიქრებელი, უფრო კი გამაფრთხილებელი ჩაგონების დანიშნულება და მიზანი ჭეშმარიტი ქართველები საუკუნის მანძილზეკბილებით იცავენ უძველესსა და ულამაზესს, დედასავით სანუკვარსა და უსაყვარლესს, უმშვენიერესსა და ტკბილხმოვანს, უმდიდრეს ენას ქართულს. თავს წირავენ, სიცოცხლეს ანაცვალებენ მის შენარჩუნებას და დაფარვას, თავდაუზოგავად იღვწიან, რათა მომავალ თაობას შეუბღალავად და ნირშეუცვლელად გადასცენ. ვიცით ქართველებმა ჩვენი ენის ძალა და ფასი, მისი დანიშნულება და ღონე, რადგან მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად არნახულ შემოტევებისგან გადარჩენილებსა და თავდახსნილებს, დღესაც ქართულად გვალაპარაკებს.

ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავდა ენას ქართულს, მაგრამ ვერავინ შეძლო მასზე გამარჯვება, უკლებლივ ყველამ მცირე თუ მრავალრიცხოვანმა მეტოქემ სასტიკი მარცხი იწვნია, ენა იბერთა უძლეველი და შეუვალი დარჩა.

მე-19 საუკუნე, რუსეთის იმპერიის რეფორმები და რეპრესიები, ერთადერთი მიზნით ქართული გენისა და თვითშეგნების გადაგვარებისთვის. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აიკრძალა, არისტოკრატია ქართულად ხმის ამოღებას ერიდებოდა, ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კი რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვინღა კი საერთოდ ვინ დაგიდევდათ.

მოწინავე ახალგაზრდობამ რუსეთის გეგმებს მამული, ენისა და სარწმუნოების მცნება დაუპირისპირა. ღვთის წყალობა იყო ალბათ ამდენი სახელგანთმული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ქართველობის თვითმყოფადობის შენარჩუნება-გაძლიერებას დაუდეს სადავე.

### იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ შექმნამდე ოცი წლით ადრე, 1865 წელს, შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისთვის“. დიდმა პედაგოგმა წიგნს „დედა ენა“ 1876 წელს დაარქვა. ოცწლიანი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს, მან გამოსცა ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის — „დედაენა“.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს დაეთმო. ავტორი თითოეულ სიტყვას, ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხრობასა თუ ლექსში, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. საყოველთაო განხილვის საგნად აქცევდა თითოეული ასოს მოხაზულობა და ყოველი სიახლე უძველეს ქართულ მწიგნობრულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. „დედა-ენა“ ერთ-ერთი რჩეული საგანძურია ქართველი ერისათვის. „დედა ენის“ არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე — ერის სიცოცხლეს.

ქართული ენა კურთხეულია ბიბლიაში:

„და ენაი ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“.

ქართველები, უპირველესად ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავის გადადებას მიიჩნევდნენ საჭიროდ და ხშირად ეს მოვალეობა სავალალო მსხვერპლთშეწირვით დაუსრულებიათ. მტერი და დამპყრობი არასდროს ელეოდა იბერთ ქვეყანას, რადგან კურთხეული მიწის მიტაცება ულევი სიმდიდრის მოპოვების უტყუარი საწინდარი გახლდათ. აღსრულება ამისი ძალზე ადვილად შეიძლებოდა, ქართველთათვის ენისა და სარწმუნოების წართმევით. ამიტომაც უნგრევდნენ და უბილწავდნენ ეკლესია მონასტრებს, უმშვენიერესსა და უძველეს ენაზე მეტყველებას უკრძალავდნენ იბერებს. მაგრამ, შეუძლებელი იყო მართლმადიდებლობის უარყოფა, სხვა რჯულის აღიარება.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# 1989 წლის 9 აპრილი










1989 წლის გაზაფხულზე საქართველოში იმართებოდა დემონსტრაციები საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის მოთხოვნით. დემონსტრაციებმა კულმინაციას მიაღწია აპრილის დასაწყისში თბილისში, სადაც რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა ათასობით ადამიანი, მათ შორის შიმშილობის აქციის მონაწილეები.

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

# „აგროდაზღვევის“ გარეშე სოფლის მეურნეობაში წარმატებულ შედეგებს ვერასდროს მივაღწევთ

*გასულ წელს, არახელსაყრელმა კლიმატურმა მოვლენებმა და განსაკუთრებით, სეტყვამ უდიდესი ზიანი მიაყენა ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. მოგებული დარჩნენ ის პიროვნებები, რომელთაც სადაზღვევო კომპანიებთან გააფორმეს ხელშეკრულებები და სადაზღვევო პოლისების მეშვეობით მიიღეს სოლიდური ანაზღაურება. სამწუხაროდ, ვინც სკეპტიკურად უყურებდა აგროდაზღვევის პირობებს და არ გააფორმა ხელშეკრულება სადაზღვევო კომპნიასთან, მოსავალიც ვერ მიიღო და ბანკის ვალიც ვერ გაისტუმრა.*

*გასული წლის გამოცდილება გვიბიძგებს, რომ აუცილებელია მოსავალი დავაზღვიოთ ყველამ, ვისაც შეხება გვაქვს სასოფლო-სამეუნეო კულტურებთან.*

*მიმდინარე წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობამ „აგროდაზღვევის“ პროგრამა დაამტკიცა, რომლის მიზანია:*

*ა) აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;*

*ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;*

*გ) სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;*

*დ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.*

*პროგრამის განხორციელების მიზნით, ა(ა) იპ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, რომელბიც გამოთქვამენ სურვილს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.*

*„აგროდაზღვევის“ პროგრამის ნიუანსებში უკეთ გარკვევის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს ვესტუმრეთ და ვთხოვეთ პასუხები გაეცა კითხვებზე, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აინტერესებს.*

**— ბატონო მამუკა, ვის შეუძლია ისარგებლოს „აგროდაზღვევის“ პროგრამით?**

— ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, საიდანაც პროგრამის ფარგლებში დაზღვევას ექვემდებარება არა უმეტეს 5 ჰა (მარცვლეული კულტურის დაზღვევის შემთხვევაში — არა უმეტეს 30 ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

**— რა დოკუმენტი უნდა შეავსოს მიწის მეპატრონემ?**

— მოსავლის დაზღვევის განაცხადი, რომელსაც ავსებს დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების საფუძველსა და მის განუყოფელ ნაწილს.

**— რა სახის კლიმატური მოვლენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სადაზღვევო პროცესი?**

— სეტყვით, ჭარბი ნალექით, ქარიშხალით და საშემოდგომო ყინვით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სადაზღვევო კომპანიის მიერ.

**— დავუშვათ, რომ მოსარგებლეს სეტყვამ დაუზიანა მოსავალი, ვის უნდა მიმართოს დაზღვეული ნაკვეთის მფლობელმა?**

— სადაზღვევო შემთხვევის შესახებ



წერილობითი განაცხადი დამზღვევმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო კომპანიაში, რადგანაც იგი შემდგომში წარმოადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისათვის აუცილებელ დოკუმენტს. მზღვეველი ვალდებულია დაათვალიეროს დაზღვეული ნაკვეთი, დაადგინოს კონკრეტული შემთხვევის ხდომილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა და შეადგინოს დათვალიერების აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან.

შემდგომ უნდა გაფორმდეს სადაზღვევო ანაზღაურების აქტი-დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობას.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

# ვექათგორის „ვექას“ წყლის საიდუმლო

დღევანდელ დღეს ჩვენი მაღაზიების დახლებზე ათასნაირი სახის პროდუქტს შეხვდებით. ისიც უნდა ითქვას, რომ სავაჭრო ობიექტებში მასიურად იყიდება ისეთი თვალმისასვლელი და ლამაზად შეფუთული გენმოდიფიცირებული პროდუქტები, — ეს იქნება სასოფლო-სამეურნეო, თუ საკონდიტრო ნაწარმი, რომელთა მიღება საშიშია ჯანმრთელობისათვის. როგორც ინტერნეტის, ისე ტელევიზიის და პრესის საშუალებით უკვე ღიად აცხადებენ და მოუწოდებენ განსაკუთრებით მცირეასაკიან ბავშვთა მშობლებს, რომ არ შეიძინონ ასეთი სახის პროდუქტები თავიანთი შვილებისთვის. ასევე მიუღებელია როგორც ბავშვებისთვის, ისე მოზრდილთათვის სხვადასხვა სახის გამაგრილებელი სასმელები, ძირითადში ქიმიურად დამზადებული პროდუქტი. რამდენად შეესაბამება სიმართლეს არ ვიცი, მაგრამ ხშირად გამიგონია მომხმარებლისგან ბორჯომის მინერალურ წყალზე, რომ ისეთი ხარისხიანი აღარ ისხმება, როგორც ადრე იყოვო. სასიხარულოა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ისხმება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო წყალი ეტიკეტით „ვეძა“, რომლის მწარმოებელიც გახლავთ ჩვენი თანამემამულე, ბატონი ირაკლი მირზიკაშვილი. თუ რამდენად ხარისხიანია ჩვენი „ვეძა“, ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ თავად ბატონ ირაკლის.

**— ბატონო ირაკლი, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ხალხში არსებობდა თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მითი იმის თაობაზე, რომ დურუჯის ხეობაში იყო ისეთი სახის მინერალური წყალი, რომელსაც ადამიანისთვის სამკურნალო თვისებები გააჩნდა. შემდეგში როგორ მოხდა მისი აღმოჩენა და როგორ გამართლდა ეს მითი მისი საუკეთესო თვისებების შესახებ? საიდან წამოვიდა მისი სახელწოდება „ვეძა“?**

— „ვეძა“ ლათინური სიტყვაა და ზოგადად მლაშეს ნიშნავს. ყვარლის მიმდებარე კავკასიის მთავარი ქედი დარაიონებულია შემდეგნაირად: „ზურგიძვალა“, „წიფელგორი“, „სავეფხვიგორო“, „საირმისგორო“, „პატარა დაბალგორი“, „შუამთისგორი““,ვეძათგორი“, „ნავისწყლები“ და სხვა. როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებს დაურქმევიათ ვეძათგორი „ვეძის“ წყლის გამო. ვეძათგორი, შესაბამისად ვეძის წყალი მდებარეობს ნახეჩის ხევის ხეობაში.

ყანის მკობის დროს ქედანი ხორბალს რომ აკენკავს, მიფრინავს ვეძას წყლის დასალევად, რათა მოინელოს მიღებული საკვები, ეს არის ბუნებრივი თვითმკურნალობის ინსტიქტი.






მე მქონდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ნებისმიერი საჭმლის მიღების (მწარე-მჟავე) შემდეგ განვიცდიდი დისკომფორტს. შემთხვევით ძმრის სუნი რომ მომივიდოდა, მახრჩობდა მაღალი სიმჟავე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ფისტონამ (ვალიკო ივანეს ძე დარჩიაშვილი, ღმერთმა აცხონოს მისი სული) ჩამომიტანა „ვეძას“ წყალი, რომელმაც ჩემზე დადებითად იმოქმედა. 15-20 დღე მე სხვა წყალი არ დამილევია, ვიღებდი მხოლოდ „ვეძას“ წყალს. უნდა ითქვას, რომ ვეძას წყალმა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრობლემა მომიგვარა და მომიწესრიგა კუჭნაწლავის მდგომარეობა.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

# 14 აპრილი დედა ენის დღეა

შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელი იაკობის, დავითის, თამარისა და სხვათა წმინდანების ენის უარყოფა. შეუძლებელი იყო უძველესი ანბანის ულამაზესი ასოების დავიწყება და გაქრობა.

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი. მათ შორის ერთი უძველესთაგანია ქართული.

და გადაურჩა საუკუნეების შემოტევას ენა ქართული. გაუძლო ოსმალთა და სპარსთა, არაბთა, მონღოლთა, სხვათა გაუსაძლის დაწოლას. სარწმუნოებასა და მამულთან ერთად, ენაც შეინარჩუნეს იბერებმა. თუმცა, გადარჩენა იგი ლამის საბოლოო გაჩანაგებად დაუჯდა ერს. და მაინც, მოუდრეკელი სული, დაუმორჩილებელი გენი ქართველებისა, კვლავაც მზად იყო და შემართული გახლდათ სამი უპირველესი მცნების, კვლავაც სიცოცხლის გაღების ფასად დაცვისთვის. ალბათ, სწორედ ამის გამო იყო მეტი დაკვირვება, მეტის მოთმენა, საუკუნეთა მანძილზე თავსგადამხდარის გათვალისწინება იყო აუცილბელი, საბედისწერო ნაბიჯის გადადგმამდე „ერთმორწმუნე“ ჩრდილოეთელის მფარველობის გადაწყვეტილების მიღებამდე. მაგრამ ალბათ, ეს იყო ნება უზენაესისა, ასე დასაჯა ქართველები უკიდურესად დამღუპველი არჩევანის გაკეთებისთვის.

იქიდან დაიწყო ქართველთა სარწმუნოებისა და ენის არნახული შეურაცხყოფა და დევნა. ყინულეთიდან შემოჭრილი ბრბო დაუნანებლად, გამიზნულად ბილწავდა და ანადგურებდა ქართული ეკლესია-მონასტრების უბრწყინვალეს აღკაზმულობას, კირითა და ბათქაშით ფარავდა დიდებულ ხელოვანთაგან შექმნილ უმშვენიერესსა და უწმინდეს ფრესკებს, ყველანაირად ავიწროებდა და სალოცავებიდან ერეკებოდა მღვდლებს, ბერებს, მონოზნებს, მრევლს. რუსეთში ეზიდებოდა უძვირფასეს ხატებსა და სარიტუალო ნივთებს, უძველეს წიგნებსა და ფოლიანტებს მთავარი კი წინ იყო „ერთმორწმუნემ და მფარველმა“ დამოუკიდებლობა წაართვა ქართულ ეკლესიას და საკუთარ ნებას დაუმორჩილა უძველესი ქრისტიანული ქვეყანა. რწმენაშეგინებულ ხალხს, რუსი ეგზარქოსები „მოძღვრავდნენ, სულიერად განანათლებდნენ“. იმავდროულად, ჩრდილოელებმა იბერთა გადაშენება მოსპობის მეორე უმთავრეს საყრდენს ენას დაუწყეს გაშმაგებით შეტევა და ყველაფერს აკეთებდნენ მისი სამუდამო ამოძირკვისა და დასამარებისთვის. თავათ ცივსა და ყინულოვან ენაზე მეტყველნი, ძაღლის ენას უწოდებდნენ უძველესსა და უმშვენიერეს, ტკბილხმოვან ენას ქართულს, სასტიკად კრძალავდნენ მასზე ლაპარაკს, სწავლა-განათლებას. სამწუხაროდ, ქართველ თავად-აზნაურთა, დიდგვაროვანთა და განათლებული საზოგადოების სულგაყიდული ნაწილი მონურად დაემორჩილა დამპყრობლის სურვილს და საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ჩინ-მედლებისა და მოწყალების მისაღებად, გვერდში ამოუდგა მტერსა და მოძულეს, მასთან ერთად იღვწოდა და ესწრაფოდა მშობლიური ენის უარყოფას. სწორედ ამან ათქმევინა გულმოკლულ გრიგოლ ორბელიანს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“.

ძალამ აღმართი ხნა. ქართული ენის შეგინებამ, მოღალატეთაგან მისმა უარყოფამ და ჩაწიხვლამ არნახულად დააძაბუნა, სარწმუნოების შელახვის უკიდურესმა უიმედობამ მოიცვა ქართველი ერი. სასოწარკვეთილი და იმედდაკარგული ხალხი, თითქოსდა შეეგუა დამპყრობლისგან დადგმული უღლის სიმძიმეს. მომეტებულად, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში იმარჯვა სახეგაშიშვლებულმა, საძულველმა მოძალადემ. სწორედ მაშინ გაისმა ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა თავდადებული, გულანთებული მამულიშვილების მგრგვინავი ხმა ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად, გადასარჩენად. თუმცა, ამაო გამოდგა ერისკაცთა თავგანწირვა სისხლიანი დამპყრობელი, დამონებული და მოღალატე ქართველების ხელით გაუსწორდა გონსმოსულ, თვალახელილ ერს, ხოლო სულიერ მამად და წინამძღოლად აღიარებული ბრძენკაცი, ტყვიით დაადუმა. დიდად დასაღონებელია, რომ ამგვარმა ანგარიშსწორებამ კიდევ უფრო მეტად დააძაბუნა და დააშინა ხმაამაღლებული ქართველობა, იძულებული გახადა კვლავაც მორჩილად შერიგებოდა ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით რგებულ მწარესა და მძიმე ხვედრს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების შუა პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხანმოკლე შუალედში, ისევ მიეცა აღორძინებისა და კუთვნილი მისიის აღსრულების შესაძლებლობა გულსატკენად დაწიხლულ ენას იბერთა. ღირსებაშელახულმა, პატივაყრილმა ქართველებმა თავისუფლად შეძლეს მშობლიურ ენაზე მეტყველება, სწავლა. ქართულმა ეკლესიამაც დაიბრუნა მოძულე მტრისგან წაგლეჯილი დამოუკიდებლობა. ტაძრებსა და მონასტრებში კვლავაც ქართულად აღევლინებოდა წირვალოცვა, ქართული საგალობლებით მშვიდდებოდა მრევლი.

საქართველოს მაშინდელმა კათალიკოს პატრიარქმა კირიონ მეორემ ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ:“

„დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი.

მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას“.

დიდხანს აღარ გასტანა ქართველთაგან სულის მოთქმის, ქართული ენის გაცოცხლებისა და აღდგენის სანუკვარმა ხანამ. „ერთმორწმუნე“ დამპყრობელმა ვერაფრით იგუა უმდიდრესი განძის იბერთა ქვეყნის დროებით ხელიდან გაშვება. ცეცხლითა და მახვილით შემოსეულმა სახელ და ფერნაცვალმა ჩრდილოელმა გველეშაპმა მომეტებული ბარბაროსობითა და დაუნდობლობით, მზაკვრულად შენიღბულმა შემოუტია ენას ქართულს, რწმენას მართლმადიდებლურს. ქრისტეს მგმობელსა და იბერთ მოძულეს, სამუდამოდ სურდა დაევიწყებინა ქართველებისთვის იოანე ზოსიმესგან თქმული:

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

განითლებულსა და გავარვარებულ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული იყო ჩაწერილი. სწორედ მასზე, იმ ფარატინა ფურცელზე მთავრდებოდა იბერთა უძველესი, უმშვენიერესი ენის ყველა უფლება და ღირსება. სინამდვილეში კი ,იძულებით თავსმოხვეულმა რუსულმა სწრაფად განდევნა საწარმო დაწესებულებებიდან ქართული და სულ უმნიშვნელო თათბირი თუ შეკრებაც კი მხოლოდ დამპყრობლის ენაზე ტარდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ მწარე სინამდვილეა, რომ ქართული ენის დაუძლურებას, მის აბუჩად აგდებასა და უარყოფას, მასზე მეტყველების სამარცხვინოდ მიჩნევას მხარს უბამდა და ესწრაფოდა მოღალატე კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაახლოებული, მისით დაპურებულპატივმიგებული წითელი საზოგადოება, ქართული ინტელიგენციის სახელს რომ იჩემებდა. სწორედ მათი თანადგომითა და თანხმობით, მათი დანაშაულებრივი ხელშეწყობით მრავლდებოდა საქართველოში რუსულენოვანი საბავშვო ბაღები და სკოლები, სხვადასხვა სასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტები, გამოდიოდა უამრავი რუსულენოვანი გაზეთი და ჟურნალი, სულ უფრო მატულობდა რუსული ტელე და რადიოგადაცემები, იხსნებოდა რუსული თეატრები, მუზეუმები

სულ უფრო ცხოველდებოდა საბჭოური იმპერიის ბუნაგში მოკალათებულთა სურვილი და განზრახვა ქართული ენის რაც შეიძლება მალე დაჯაბვნისა, სამუდამოდ გადაგვარება ამოგდებისა. ბუნებრივია, ჩანაფიქრსა და მიზანს განხორციელება, აღსრულება სჭირდებოდა, რასაც ოპერატიულად ახორციელებდნენ წითელი საქართველოს წითელი ხელისუფლები. იმავდროულად, ავი და შესაჩვენებელი საქმის მკეთებელნი, მათთვის საძულველი და მიუღებელი ქართული ენის „დაცვისა და მოვლა — პატრონობისთვის“ ქმნიდნენ კომისიებს, უმნიშვნელოვანესი „საერო საქმის „კეთებას რომ ავალებდნენ.

ბევრის ამტან ქაღალდზე ყველაფერი აღსრულებული იყო ქართულ ენას ვერავინ შებედავდა ხელყოფას, მცირერამ აუგის თქმას. ქაღალდს მიღმა კი ყველაფერი რუსთა სასიკეთოდ, მათს საამებლად კეთდებოდა. ამიტომაც, აღარაფერი დაუდგათ წინ და საბჭოური იმპერიის მმართველებმა, აღარც იმ უძალო ქაღალდზე მოისურვეს სახელმწიფო ენად ქართულის ჩაწერა და 1978 წელს განახლებული საბჭოური კონსტიტუციიდან, მისი ამოღება ბრძანეს. ცხადია, ქართველ კომუნისტთა ხელისუფლება უმალ დაემორჩილა მბრძანებლის ნებას, მაგრამ აბობოქრებული ქართველი ერის, ინტელიგენციის ღირსეული ნაწილის, ახალგაზრდობის უმრავლესობის, ეროვნული მოძრაობის თავკაცთა შეკაშირებამ, მათგან გაწეულმა წინააღმდეგობამ და უშეღავათო მოთხოვნამ, ხელი ააღებინა იმპერიის ჯურღმულიდან წამოსული ბრძანების შესრულებაზე.

თუმცა, ყველაფერი ისევ ქაღალდს მინდობილი აღმოჩნდა. ქართული ენა საქართველოში ისევ უძალო და უმაქნისი გახლდათ. საბჭოური იმპერია კვლავაც თავის შავბნელ ზრახვებს ახორციელებდა, ბინძურ საქმეთა მკეთებელი ავკაცები თავისას არ იშლიდნენ. კარგად გვახსოვს, რაოდენ უტიფრად და თავხედურად, რუსული შოვინისტური სულის აშკარა გამოხატვით მოითხოვა თბილისში ჩამოსულმა კრემლის მაღალჩინოსანმა, სალდაფონმა ჩინოვნიკმა, რუსული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კიდევ უფრო მომრავლება, რუსული ენის გაცილებით გაზრდილი მოცულობით სწავლება. მაგრამ, არ ეწერა აღსრულება მოძალადის დამღუპველ სურვილს. ძალამოცემული ეროვნული მოძრაობის აღორძინებამ და მომძლავრებამ, დასაწყისშივე ჩაახშო და ჩაკლა ქართული ენის საბოლოო დასამარებისთვის წამოწყებული კამპანია.

ეროვნული ხელისუფლების მოსვლამ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, უპირველეს რიგში დააყენა საკითხი ქართული ენის კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად. სხვანაირად არც შეიძლებოდა იბერთ ქვეყანაში, ქართული ენა უნდა ყოფილიყო განმგებელ გამკითხავი, ქართულ მიწაზე მოსახლე ყველა ჯურის ჩამომავალს, პატივი და დიდება უნდა მიეგო მისთვის, აუცილებლობად ჩაეთვალა მასზე მეტყველება. ასეც ხდებოდა უცხო ტომისანი ქართული ენის სწავლის, მასზე ლაპარაკის უდიდეს სურვილს აცხადებდნენ და სწავლობდნენ, ლაპარაკობდნენ.

ჩვენდა სავალალოდ, დიდხანს არ გასტანა ნეტარმა და სანატრელმა ხანამ ენისა ქართულისა. ეროვნული ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობამ, ისევ საფრთხე და საშიშროება შეუქმნა ბევრის გადამტან ჩვენს ენას. ენას მშობლიურს სხვა მხრიდანაც შემოუტიეს ვითომცდა უცხოეთთან ურთიერთობის დამყარებით, ვითომცდა ერთობლივი „საწარმოებისა და ფირმების“ შექმნით, რუსულთან ერთად ინგლისურმა, გერმანულმა, თურქულმა და სხვა ენებმაც შემოუტიეს და სადღეისო განუკითხაობის წყალობით, სლავურისგან გვარიანად დანაგვიანებულ ქართულში, გულდაგულ ცდილობენ დამკვიდრებას.




გულსატკენია, რომ ერის საარსებო ერთი აუცილებელი საფუძვლის ამ შეგნებულსა და გამიზნულ დამანგრეველ ქმედებას, ქართული ენის ამგვარად შერყვნას არავინ აქცევს ყურადღებას და დანაშაულებრივი გულგრილობით შეჰყურებენ, ისმენენ მიულებელსა და დაუშვებელს, სასწრაფოდ აღსაკვეთსა და უარსაყოფს. მოუსმინეთ და ნახეთ „ქართული ტელევიზიისა და რადიოს“ უკიდურესად დაბალპროფესიულ, ენობრივად გაუმართავ, დამახინჯებული ტექსტებით მომზადებულ მდარე ხარისხის გადაცემებს, თვალი გადაავლეთ ესოდენ მოზღვავებულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ყოველმხრივ სამარცხვინო მასალებს, მათში დახვავებულ უცხო, გაუგებარ სიტყვებსა და იაფფასიან ჟარგონს, დაიარეთ ქალაქის ქუჩა-მოედნები და დაკვირვებით დაათვალიერეთ მაღაზიების, კაფე-რესტორნებისა თუ სხვა ობიექტების, დაწესებულებებისა და ფირმების წარწერები. რატომ ამდენი უცხო დასახელება? ნუთუ, ჩამოთვლილ ობიექტთა პატრონებმა ვერაფერი შესატყვისი ვერა ნახეს და მოიგონეს უმდიდრესსა და ამოუწურავ ქართულში?

ნურავის ეგონება ეს ყველაფერი უშნო ახირება, უაზრო ჭირვეულობა იყოს. სწორედაც რომ არა. პირიქით, ყველა ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანაში უპირველესად სახელმწიფო ენად აღიარებულს ანიჭებენ უპირატესობას, მასზე მეტყველების აუცილებლობას უყენებენ იქ სამოსახლოდ ჩასულთ, მისით ნათლავენ ყველანაირ საწარმოსა და დაწესებულებას, ფირმას, კორპორაციას, კონცერნს, ნაწარმს ასეა, ყვლას თავისი ურჩევნია და მის სულ მცირედ აუგად ხსენებას, უდიერად მოპყრობას არავის აპატიებენ. ჩვენში კი რატომღაც ბევრმა დაივიწყა ოდითგან ჭკვიანურად ნათქვამი:



„სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო“.

ასეა, საკუთარი უნდა ვარჩიოთ სხვისას. მითუფრო ენის მხრივ, ბევრად წინ რომ ვდგავართ უამრავ ერსა და ტომზე. ენა ქართული ხომ ერთი უძველესთაგანია და უმდიდრესია დედამიწის ზურგზე. მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ და დავიცვათ ენა ჩვენი მშობლიური, გავწმინდოთ და უწინდელი მშვენება დავუბრუნოთ. და ვილაპარაკოთ უძველესი, ღვთივკურთხეული, დალოცვილი, ულამაზესი, უბრწყინვალესი ენით ქართულით იაკობის, დავითის, თამარის, საბას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით.

ნურასდროს დავივიწყებთ, ყველას ვაუწყოთ ჩვენს სიმდიდრესა და განძზე, ბევრისთვის სანატრელსა და ვერმოპოვებულზე, რომ: „ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!“

დედა ენის დღე — 1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაცია. ამ პრინციპიდან გამომდინარე 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა, ანუ დედა ენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო.

ენა, მართლმადიდებელი სარწმუნოება და საქართველო ერთნაირად მიუღებელი იყო საბჭოთა იმპერიისთვის. მაგრამ ერმა, რომელსაც მამული წაართვეს, სარწმუნოება შეუგინეს და ფაქტიურად მონად აქციეს, არ დაუშვა მშობლიური ენის წართმევა. მთელმა ქართველმა ერმა თავი დადო „დედა ენის“ გადასარჩენად.

საბჭოთა რუსეთის გადაწყვეტილება გახდა წინაპირობა ერის ყველაზე ძვირფასი საგანძურის — ენის შელახული ღირსების დასაცავად აგორებული საყოველთაო მღელვარებისა. ეს იყო დღე ტოტალიტარულ საბჭოთა რეჟიმზე გამარჯვებისა. ყველა ქართველი, თუ არაქართველი, პარტიული თუ უპარტიო, დიდი თუ პატარა, ერთხმად გმობდა კრემლის ინიციატივას და სიცოცხლის ფასად იცავდა ყველაზე ძვირფას საუნჯეს „დედა ენას“, რომელსაც ლადო ასათიანის დიდებული ლექსით თუ გამოვხატავთ „ საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“...

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც საპროტესტო გამოსვლები და მიტინგები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, შეიძლება ბევრისთვის გაზვიადებულადაც კი ჩანდეს ქართული ენის დასაცავად ჩატარებული მრავალათასიანი აქციის მნიშვნელობა. მაგრამ ამ ერთი შეხედვით ძალიან მშვიდობიანმა, მჯდომარე აქციამ, კრემლი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თბილისში 1956 წლის ცნობილი გამოსვლების შემდეგ, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც ქართველ ხალხს გატეხდა და საბოლოოდ დააჩოქებდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ქართველები არ შეეგუებოდნენ დიქტატსა და რუსულ ჩექმას, რომელიც, სხვათა შორის არც არასოდეს არ გაიგივებულა რუს ხალხთან და რუსულ კულტურასთან. 1978 წლის გამოსვლებმა ასევე აჩვენეს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომ იმპერიის წინააღმდეგ წარმოებულ უთანასწორო და ხანგრძლივ ბრძოლაში, ყველაზე რთულ და საჭირო მომენტში ქართველი ხალხი მათ გვერდით დადგებოდა. ა სეც მოხდა, მართალია ბევრი გამორჩეული ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი შეეწირა კიდეც ხსენებულ უთანასწორო ბრძოლას, მაგრამ ამ თავგანწირვის ფასად და ქართველი ხალხის ერთსულოვნების შედეგად, ახდენილი იქნა ქართველი კაცის სანუკვარი ოცნება — საქართველო განთავისუფლდა იმპერიის მარწუხებისაგან და აღდგა მისი დამოუკიდებლობა. ასე, რომ 14 აპრილი არა მარტო ქართული ენის დღეა, არამედ ჩემი ღრმა რწმენით, ამ დღემ 80-იან წლებში დასაბამი მისცა ეროვნული მოძრაობის საერთო სახალხო მოძრაობად ჩამოყალიბებას.

1978 წლის 14 აპრილს, ქართველი ახალგაზრდების პატრიოტულმა სულისკვეთებამ, ეროვნული ღირსების განცდამ, ქართველ ერს დიდი გამარჯვება მოუტანა.

ქართველი ხალხის ასეთი ერთსულოვნების მაგალითები არც თუ ისე ბევრი მოიძებნება საქართველოს უახლოეს წარსულში.

მსოფლიოში სულ თოთხმეტ ერს აქვს შესაძლებლობა იამაყოს საკუთარი ანბანით, მათ შორისაა საქართველო. ალბათ, არ მოიძებნება ერი, რომელსაც მშობლიური ენისთვის დედა ენა ეწოდებინა, დედა ენისთვის ძეგლი დაედგა, დედა ენის დღე საყოველთაო დღესასწაულად ექცია.

ალბათ, არც ერთ ენას არ ჰყოლია იოანე ზოსიმედან დაწყებული მრავალი სიტყვამადლიანი მეხოტბენი.

დედა ენა ქართველებისათვის სამშობლოსთან და რწმენასთანაა გაიგივებული. ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად დიდმა ილიამ „მამული, ენა, სარწმუნოების“ მოვლა და გაფრთხილება.ერის მოძღვარს და მოამაგეს კარგად ესმოდა, რომ ქართული ენა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად მრავალი საუკუნის განმავლობაში ამტკიცებდა და ადუღაბებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, საერთო ენამ და სარწმუნოებამ დიდი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბებაში. ამ ერთიანობამ კიდევ უფრო გააძლიერა და სრულყო ქართული ენა. იგი გახდა ყველა ქართველისთვის სულიერი შემოქმედების გამომხატველი, მუსიკალური ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერების, თუ თექვსმეტსაუკუნოვანი დამწერლობითი ლიტერატურის სახით.

ქართველი ხალხივით ათას ჭირ-ვარამ გამოვლილმა ქართულმა ენამ, ერის, ენისა და ქრისტიანული სარწმუნოებისავის თავდადებულ მამულიშვილთა წყალობით, ღირსეულად გადაიტანა და გაუძლო გადაგვარებისა და გაქრობის საშიშროებას. დღესაც, საფრთხე ემუქრება ქართული ენის სიწმინდეს. უცხო ენების შესწავლა სულაც არ გულისხმობს, რომ საკუთარი ენა უარყო. თითოეული ქართველის მოვალეობაა ზრუნვა ქართული ენის სიწმინდეზე. დღეს კიდევ უფრო საჭიროა მისი დაცვა. არცერთ ქართველს არ ეკადრება უგულებელყოს საკუთარი ენა, ილაპარაკოს უცხოური ტერმინებით, როცა არსებობს უფრო ლამაზი, ამ ტერმინების შესატყვისი ქართული სიტყვები. განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა აკისრიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სადაც ეს პრობლემა ძალიან ნათლად სჩანს.

იაკობ გოგებაშვილი წერდა:“ ქართული ენა ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა. „დედა ენა“ არის ენა სულისა და გულისა, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა.

ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი ნიკო მარი ქართული ენის შესახებ ამბობდა:“ ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც კი დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას“.

ამიტომ, თუ გვინდა უცხო ენების სწავლა, ჯერ საკუთარს უნდა ვცეთ პატივი, დავიცვათ ჩვენი ენის სიწმინდე და ღირსება.

„ დედა ენის“ ძეგლის გახსნაზე ნოდარ დუმბაძემ ასე მიმართა ქართველ ხალხს: „ დედა ენას რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი — ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია“.

„დედა ენა „ სახარებაა ბავშვებისა, საქართველოს უწმინდესს მამათა დაწერილი, შექმნილი და შედგენილი, ამიტომ ერი და ენა ერთი და იგივეა“.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# ვეძათგორის „ვეძას“ წყლის საიდუმლო

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**— თქვენ როდიდან დაინტერესდით, რომ ამ საქმისთვის მიგეხედათ?**

— სიმართლე გითხრათ, უკვე ჩემი გამოჯანმრთელების შემდეგ გადავწყვიტე და დავინტერესდი ოფიციალური სახე მიმეცა ამ საქმიანობისთვის და 2001 წელს მივიღე ლიცენზია „ვეძას“ წყლის წარმოება-რეალიზაციაზე, რათა ეს ბუნებრივი სიმდიდრე და სამკურნალო საშუალება ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში.

**— რა შემადგენლობისაა ეს წყალი და ძირითადად რისი დაავადების მკურნალობისას გამოიყენება?**

— თავისთავად ცხადია, ისე ვერ მოახდენ მის რეალიზაციას და ლიცენზიას ისე ვერ მიიღებ, თუ არ მოხდა ბუნებრივი რესურსის შემოწმება, ლაბორატორიულად შემოწმდა „ვეძას“ წყლის მდგრადობა, შესწავლილი იქნა კურორტოლოგიური და ბალნეოლოგიური ინსტიტუტის მიერ მისი ქიმიური და ბაქტეროლოგიური მდგომარეობა. „ვეძას“ წყალი მიეკუთვნება ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან მინერალური ტიპის წყალს, მისი მინერალიზაცია გ/ლ-ში არის 4,5-7,0 კათიონები გ/ლ-ში ა+-1300-2000; ჩა<100; გ<100, ანიონები გ/ლ-ში ჩ3-2100-3100; ჩI-900-1700; შ4<25. „ვეძას“ წყალი ახდენს დადებით ზეგავლენას შემდეგი დაავადებების დროს: ქრონიკული გასტრიტი, კოლიტი, ენტეროკოლიტი და სეკრეციული ფუნქციის დარღვევა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ქრონიკული ჰეპატიტები, ქოლეცისტიტი, ქოლანგიტი და პანკრიატიტი, რეკომენდირებულია როგორც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის მომწესრიგებელი საშუალება და ნაბახუსევის უებარი წამალი. ჩვენი დაკვირვებით მიახლოებით 300-350 ადამიანში ერთ მომხმარებელს შეიძლება აეშალოს კუჭი, არ უნდა შეშინდეთ, პირიქით, უნდა გააატიუროთ ვეძას წყლის მიღება, რათა გაიწმინდოს კუჭ-ნაწლავი ზედმეტი წიდებისაგან და შეასრულოს თავისი მოვალეობა ზედმეტი დატვირთვის გარეშე.

**— ამჟერად უკვე წლებია გაქვთ ლიცენზია ამ მინერალური წყლის რეალიზაციის თაობაზე, რომელიც დახლებზე აწყვია სხვა მინერალურ წყლებთან ერთად და საკმაოდ პოპულარულია მომხმარებლებში. ხშირად მყიდველებიც კი ერთმანეთს ურჩევენ, რომ სხვა მინერალურ წყლებთან შედარებით უკეთესია მიიღონ „ვეძას“ წყალი, — რაშია მისი საიდუმლო?**

— სხვადასხვა დაავადებების დროს მიღებული სამკურნალო წამლები დადებითად მოქმედებს იმ დაავადებების მიმართ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავზე, ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე".ვეძას" წყლის საიდუმლო ის არის, რომ იცავს თქვენს ორგანიზმს ზედმეტი გაღიზიანებისაგან და თავს გრძნობთ კომფორტულად.

**— მიუხედავად იმისა, რომ გვირჩევენ ქიმიურად დამზადებული სასმელები, როგორიცაა, — ლიმონათი, ფანტა, კოკაკოლა და სხვა არ მივიღოთ, გასაღება და მოხმარება მათი უფრო დიდია.**

— გამაგრილებელი გაზიანი ტკბილი სასმელები, რომლებსაც არანაირი სამკურნალო თვისებები არ გააჩნიათ, ხშირ შემთხვევაში მათი მიღება არ არის სახარბიელო. მაგრამ როგორც გამაგრილებელ საშუალებას, რა თქმა უნდა, მომხმარებელი მაინც ბევრი ჰყავს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

**— უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიურად გაჭირვებულ ადამიანებს, ვისაც არ შეუძლია მაღაზიაში შეიძინოს ერთი ლარის ღირებულების ჩვენი სამკურნალო წყალი, ახლაც კი ხშირ შემთხვევაში ფეხითაც უწევთ ნახჭრის ხევამდე ასვლა. რამდენად სასარგებლოა ბოთლებში ჩამოუსხმელი წყლის დალევა ადამიანებისათვის. რას ურჩევდით მათ?**

— რამოდენიმე წლის წინ მილსადენის საშუალებით „ვეძას“ წყალი ჩამოვიტანეთ ყვარლის თავამდე კაზარმამდე. წყალს ვაგროვებთ შემკრებ ჭურჭელში და იქიდან სატრანსპორტო საშუალებით მოგვაქვს საამქრომდე. მანამდე წყლის ჩამოტანას ვახდენდით ცხენებით, შემდეგ მიღებულ წყალს ვფილტრავთ მსხვილი მინერალებისაგან და ვაყოვნებთ მცირე დროით, ჩამოსხმამდე წყალი ისევ იფილტრება სტერილურ ფილტრში, ვაცივებთ მაცივრების საშუალებით, შემდეგ ხდება ნახშირორჟანგის გაზთან წყლის სატურაცია, შემდეგ წყალი გაივლის ბაქტეროციდულ ნათურაში და ხდება მისი ჩამოსხმა ბოთლებში. რა თქმა უნდა, გაფილტრული წყალი უკეთესია, ვიდრე გაუფილტრავი, რადგან ამინდის ცვალებადობასთან ერთად წყალიც იცვლება, არა ქიმიურად, არამედ ვიზუალურად წყალი იმღვრევა და არ არის გამჭვირვალე.

ბოთლებში ჩამოსხმულ „ვეძას“ წყალს უკეთდება ეტიკეტირება, ხდება მისი დასაწყობება და შემდეგ დისტრიბუცია.

**— მედიცინის თვალსაზრისით თუ უნიშნავენ ექიმები ან ურჩევენ მინერალური წყლის „ვეძას“ დალევას?**

— ექიმები ძირითადში ურჩევენ კუჭნაწლავის, ნაღველ-კენჭოვანი და თირკმელებით დაავადებულ პაციენტებს, უნდა ითქვას, რომ უებარია ჩვენი „ვეძა“ ამ დაავადებების სამკურნალოდ.

**— სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში თუ ხდება თქვენი მინერალური წყლის რეალიზაცია და რამდენად მომგებიანია ეს თვენთვის.**

— პროდუქციის დისტრიბუციას ვახდენთ როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ასევე მეზობელ მუნიციპალიტეტებში.

**— რამდენი ადამიანია დასაქმებული მის ჩამოსხმაზე და რამდენად არის დაცული თქვენი „ვეძა“ ფალსიფიცირებისგან, ან თუ საჭიროებს მის გარშემო არსებული ნიადაგი ლაბორატორიულ შემოწმებას, რათა არ მოხდეს მისი დაბინძურება.**

— არც თუ ბევრი, მის მიღება-გადამუშავებაზე და რეალიზაციაზე კი სულ დასაქმებული ვართ 5 ადამიანი.

რაც შეეხება წყლის ფალსიფიცირებას, ეს ჩვენთან გამორიცხულია. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ნახშირორჟანგის გაზით ვამდიდრებთ ვეძის წყალს. ხშირად მსმენია, რომ სოდა აქვს მეტი, გაზი აკლია, ან გაზი აქვს მეტი და ა.შ. გემოვნებაზე არ დავობენ. თუ სოდიანი წყალი უნდა ჩამომესხა, მაშინ რატომღა გავიღე იმდენი ხარჯი, რატომღა ჩამოვიყვანე „ვეძას“ წყალი „კაზარმის“ თავამდე დაახლოებით 8-10 კმ-ზე. ყველაფერს ვაკეთებთ დასაშვები ნორმის ფარგლებში.

**— თქვენი სამომავლო გეგმები, თუ აპირებთ სამკურნალო წყლის საამქროს გაფართოებას და დაფასოებული მინერალური წყლის რაოდენობის გაზრდას სარეალიზაციოდ.**

— მომავალში მიზნად დასახული გვაქვს, რომ „კაზარმაში“ ავაშენოთ საამქრო, შევცვალოთ ტექნოლოგიური დანადგარები, გავაფართოვოთ მომსახურების ქსელი, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ „ვეძას“ წყლის სიკეთე. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, დაფასოებული მინერალის რაიოდენობის გაზრდასაც და საამქროს მომგებიანობასაც შეუწყობს ხელს.

„ვეძას“ წყლის საუკეთესო სამკურნალო თვისებებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ მასიურ მომხმარებლებს, ჩვენი რაიონის ექიმებს.

**გოჩა შავგულიძე — ა.ა.ი.პ „კახეთი იონის“ მთავარი ექიმი, ექოსკოპისტი.**

— ჯერ კიდევ პატარას, ჩემი უფროსი თაობიდან მესმოდა, რომ ეს იყო სამკურნალო წყალი, რომელსაც მოიხმარდნენ საჭიროების შემთხვევაში. ამ წყალმა დღესდღეობით თავისი შემადგენელი თვისებებით მართლაც რომ გაამართლა და მომხმარებელიც საკმაოდ ბევრია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა მის მწარმოებელს ბატონ ირაკლი მირზიკაშვილს, რომ შეძლო და მოახერხა მისი ქიმიური შემადგენლობის შესწავლა და ჩვენამდე მოიტანა. ეს საუკეთესო მინერალების შემცველი წყალი ძირითადში გამოიყენება საჭმლის მომნელებელი, სანაღვლე სისტემის და სხვადასხვა პათოლოგიების დროს. პირადად მე არაერთხელ მომიხმარია „ვეძას“ წყალი და შედეგიც მკურნალობისა ყოველთვის დადებითი და მაღალეფექტურია. ასეთი პათოლოგიების მქონე ადამიანებს ჩვენ ყოველთვის რეკომენდაციას ვაძლევთ, რომ მოიხმარონ ეს წყალი.

**ოთარ ბახუტაშვილი — შპს „უნიმედი კახეთის“ ყვარლის სამედიცინო ჰოსპიტალის ექიმი-ქირურგი.**

— მინდა გითხრათ, რომ „ვეძა“ არის საუკეთესო საშუალება კუჭ-ნაწლავის და ნაღველ-კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ. ის წმენდს და ათავისუფლებს ასევე თირკმელებს ზედმეტი შლამისაგან. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვეძა“ ზომიერად და წესების დაცვით უნდა იქნეს მოხმარებული. თუ გინდათ, რომ შედეგი მიიღოთ, მისი მიღების დროს არ არის რეკომენდებული ჩვეულებრივი და სხვა მინერალური წყლის დალევა. მე პირადად ხშირი მომხმარებელი ვარ მისი და გართულების შემთხვევაში ყოველთვის მისი იმედი მაქვს. ყველას ვურჩევდი ასეთი სახის დაავადებების შემთხვევაში მიიღონ ჩვენი საუკეთესო სამკურნალო წყალი „ვეძა“, კიდევ და კიდევ, რა თქმა უნდა, წესების დაცვით.

**ზაზა ქარენაშვილი — შპს „უნიმედი კახეთის“ ყვარლის სამედიცინო ჰოსპიტალის ექიმი — ენდოსკოპისტი.**

— რა თქმა უნდა, მის სამკურნალო თვისებებზე ხშირად ვლაპარაკობთ. მეც ვარ მისი მომხმარებელი, მაგრამ მე მაინც ვურჩევდი პაციენტებს, მის მომხმარებელს, რომ დაავადებების გამოკვლევებისა და საბოლოო დიაგნოზის გარეშე, თუ რამდენად ქრონიკულია მათი დაავადება, ნუ მიიღებენ ამ სამკურნალო წყალს, რამეთუ მართლაც რომ საუკეთესოა კუჭნაწლავით, კოლიტით და ნაღველ-კენჭოვანით დაავადებულთათვის.

**ესაუბრა დალი ტატულიშვილი**

## შეხვედრა წარსულთან — კოლორიტი ადამიანების მოღვაწეობა არ უნდა დავივიწყოთ

# შეწყვეტილი სიმღერა

**დასასრული.
დასაწყისი იხ. #1-6, 2016**

ამ, მართლაც, ეგზოტიკურ ბუნებაში ქეიფი გაგვიტკბა, და დროც თურმე ნელ-ნელა გაგვეპარა. დავხედე საათს და უკვე ექვსი სრულდებოდა. ჰამლეტს ვანიშნე, რომ ჩვენი წასვლის დრო იყო. ჰამლეტი დამეთანხმა. ავდექით სუფრიდან, გამოვემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს, კიდევ ერთხელ გადავკოცნეთ ვაჟას შვილი გულქანი, ჩვენი ახლად გაცნობილი ფშაველები, რომელთა სახელებიც აღარ მახსოვს, ჩავსხედით მანქანაში და ნელ-ნელა, ღიღინით დავეშვით ბარისკენ.

ბინდდებოდა. ჩამოვუარეთ ჟინვალჰესს. გამოვედით გზატკეცილზე და რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ვხედავ, ჩვენგან მარჯვენა მხარეს ორი ახალგაზრდა გოგონა დგას და გვიწევენ ხელს. ჰამლეტს ვეკითხები.

— დიმიტრიჩ, რა ვქნათ, წავიყვანოთ?

— წავიყვანოთ, ცოდონი არიან. თან გავერთობით.



მე მანქანა გავაჩერე. ჰამლეტმა კარები გააღო, მიესალმა და შეეკითხა:

— გოგონებო, საით გაგიწევიათ?

— თბილისში მივდივართ, ხომ არ წაგვიყვანთ?!

— დაბრძანდით, რა თქმა უნდა, წაგიყვანთ!

ისინი მოთავსდნენ მანქანის უკანა სალონში და წამოვედით. ჰამლეტმა, როგორც იცოდა ხოლმე, გამოკითხა სადაურები იყვნენ, სად სწავლობდნენ, რა გვარები არიან და ა.შ.

ერთ-ერთი, რომელიც ჩემს უკან იჯდა, დრო და დრო გადმოიწევა მარცხნივ და გვერდიდან უყურებს ჰამლეტს — უცბად ეკითხება:

— უკაცრავად, თქვენ ჰამლეტ გონაშვილი არ ბრძანდებით? ჰამლეტი ხუმრობის ხასიათზე იყო და პასუხობს: — კაცო, ვინ არის ეს ჰამლეტ გონაშვილი, ნუთუ ასე ძალიან ვგავართ ერთმანეთს?! — თან მე გადმომხედა ნიშნად იმისა, რომ კვერი დამეკრა.

— მეც ძალიან მიკვირს, ჩემო ჰამლეტ, — უცბათ სიტყვა პირში გამეყინა და ჩემდაუნებურად გავთქვი ჰამლეტის სახელი.

ბუნებრივია, ჰამლეტს ხუმრობა აღარ გამოუვიდა. ყველას აგვიტყდა სიცილი, ეს გოგონებიც რომ მიხვდნენ მათ წინ იჯდა ნამდვილი ჰამლეტ გონაშვილი, ხან ერთი ეხვევა ჰკოცნის, ხან — მეორე.

ერთი სიტყვით სანამ თბილისში ჩამოვედით ბევრი ვიცინეთ და ვიმხიარულეთ, კიდეც მივედით სასტუმრო „უშბასთან“, გავაჩერე მანქანა, მაგრამ გოგონები არ გადმოდიან და ცოტა ნაწყენები გვთავაზობენ:

— იქნებ სადმე გაგვესეირნა.

ჰამლეტმა უთხრა: — თქვენ ალბათ დედიკოები გელოდებიან სახლში. თუ დროზე არ მიხვალთ დედიკო გაგიბრაზდებათო.

ისინი განაწყენებულები გადმოვიდნენ მანქანიდან, კიდევ ერთხელ დავემშვიდობეთ ერთმანეთს და გავაგრძელეთ გზა სახლისკენ. რა თქმა უნდა, ჯერ მივიყვანე ჰამლეტი სახლთან და მანქანიდან გადმოსვლის დროს ვუთხარი: — დიმიტრიჩ, ისე არ იყვნენ ცუდი გოგონები, ჰა? მან შემომხედა, ცალი წარბი მაღლა ასწია და მითხრა: — ყმაწვილო, ყველამ თავის ბოსტანში უნდა თესოს! მე გამეცინა, კიდევ ერთხელ გამოვემშვიდობე და წავედი.

* * *

Мы — народ исключителныйб мы принадлежим к числу тех наций, которые как бы не входят в состав челевечества, а существуют лишь для того, чтобы, дать миру какой нибудь страшный урок.

Петр Чадоев

дამეხსენი ჩრდილოელო,
რა მაქვს შენთან საზიარო,
თვით ოხერო, ჭუჭყიანო,
როგორ უნდა მომიარო.

აკაკი წერეთელი

მეგობრებო, ვზივარ ტელევიზორის წინ და რუსთავი 2-ის მაუწყებლობის დირექტორი გადმოსცემს საზარელ ამბავს, რუსები ბომბავენ ქალაქ გორს და თითქოს მთელ საქართველოს ტერიტორიას. ძირითადად, ადგილებს სადაც სამხედრო და ქვეყნის ეკონომიკისათვის სტრატეგიული ინფრასტრუქტურაა.

2008 წლის 8 აგვისტოა. იბომბება ჩვენი ქალაქები, იბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა, იხოცებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, ცეცხლს უკიდებენ ჩვენს ულამაზეს მთებსა და ტყეებს, მინდვრებს. იხოცება პირუტყვი. აფეთქებენ სახლებს, ხიდებს, აეროდრომებს, იპარავენ ყველაფერს და გააქვთ საქართველოს ტერიტორიიდან, რაც ვერ მიაქვთ ადგილზე ანადგურებენ. მოქმედებენ ისე, როგორც შუა საუკუნეების ველური ურდოები, ვისთვისაც არაფერი წმინდა არ არსებობდა.

მეგობრებო, ამ საშინელებებმა ამოატივტივა დიდი ხნის წინანდელი ინციდენტი, რომელიც შეგვემთხვა რუსეთში ქალაქ პერმში მე, ჰამლეტ გონაშვილს და ჩემს აწ გარდაცვლილ მეგობარს ლადო წივწივაძეს.

ერთ-ერთი გასტროლების დროს ქ. პერმში გადავწყვიტეთ დილით სადმე, რომელიმე რესტორანში წვნიანი კერძისთვის გაგვესინჯა გემო. გამოვედი სასტუმროდან და კითხვა კითხვით, არც თუ ისე ახლოს, მივაგენით ჩვეულებრივ საზოგადოებრივი კვების ობიექტს, ვითომ რესტორანი იყო, მაგრამ სასამართლოს უფრო გავდა. რაც გვინდოდა ავიღეთ, მივირთვით, ფული გადავიხადეთ და გამოვედით ქუჩაში. ჯერ გვინდოდა სადმე კინოთეატრში შესვლა, მაგრამ სასტუმროში დაბრუნება გადავწყვიტეთ. ფეხით გამოვყევით ტროტუარს მარჯვენა მხარეს, ცოტა დაბლობში, დიდ ტალახიან გუბეში გდია რუსის ბომჟი, საშინელი შესახედაობის, გაბურძგნული, ლოთური „სიფათით“, ცდილობს ამოვიდეს ტალახიდან, მაგრამ ფეხი უსხლტება და ისევ შიგ ვარდება. ჩვენ რა თქმა უნდა ადამიანურად შეგვეცოდა და გამვლელებს ,რომლებიც არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ, (თითქოს ღორი ყოფილიყოს და ნებივრობდეს ტალახში, თუმცა დიდი განსხვავება მათ შორის არ იყო), ვთხოვეთ ეშველათ და ამოეყვანათ. მათ ხელი ჩაიქნიეს და გვითხრეს: „Не оврошаите внимание“. ჩვენ კიდევ ცოტა ხანს ვუყურეთ მის საცოდავ მდგომარეობას და დავაპირეთ წასვლა, მაგრამ ჰამლეტმა გადაწყვიტა მისი ტალახიდან ამოყვანა. ჩვენ ვუთხარით თავი დაენებებინა, რამეთუ წვიმიანი ამინდი იყო და თვითონაც ძალიან გაისვრებოდა. თითქოს ცოტა შეყოყმანდა ჩუმად ჩაილაპარაკა: — არა უშავს, მაინც ადამიანია, ცოდვაა, უნდა ვუშველოთ! მივიდა გუბესთან, ცალი ხელი მოკიდა იქვე მდგომ ნორჩ არყის ხეს, ფეხი წადგა, რაც შეიძლება ახლოს გუბესთან, რომ ფეხსაცმელი არ გასვროდა და გაუწოდა მარჯვენა. „Эй ты браток дай мне руку“. მან როგორც იქნა ჰამლეტს ჩაავლო თავისი მარჯვენა ხელი. ჰამლეტმა ამოსწია, ამოაცურა ტალახიდან და ძლივს-ძლივობით დააყენა ფეხზე, როგორც რობოტი. „ну как, встал, на ноги можеш стоять“, ჰამლეტი თან შეეცადა თავისი ხელი გაენთავისუფლებინა მისი ხელისგან, მაგრამ ის ხელს არ უშვებდა. „В конце концов опустевшую руку“, ის კიდევ უფრო მეტად უჭერს, შემდეგ ნელ-ნელა ახედა ზევით, ალბათ დაინტერესდა თუ ვინ იდგა მის წინ, დააშტერდა თავისი უაზრო თვალებით და დაინახა არასლავური აღნაგობის და სიმპატიური სახის მამაკაცი. ჰამლეტმა კიდევ გაუმეორა, რომ ხელი გაეშვა, მაგრამ მან მისი ხელი კიდევ უფრო თავისკენ მაგრად მოქაჩა და ამოღერღა: „Твоя рука крепко держит великую державу“ ამ სიტყვებმა ჩვენ ყველა ძალიან გაგვაღიზიანა. ჰამლეტს რომ შევხედე, სახეზე თეთრი ფერი ედო. მან საკმაოდ მკვეთრი მოძრაობით გამოჰკრა თავისი ხელი და ამ უსახური პიროვნებისგან თავი გაინთავისუფლა. მას როგორც კი დასაყრდენი გამოეცალა, თავი ვეღარ შეიკავა, გაუცურდა ფეხი და წაიქცა, ერთი-ორჯერ გადატრიალდა და ისევ გუბეში მოადინა ტყაპანი.

მე და ლადო წივწივაძე სიცილს ძლივს ვიკავებდით. ვერც კი გავიგეთ საიდან მოგროვდა რამდენიმე ქალი და კაცი. ჰამლეტს დაუწყეს ჩხუბი, თუ რატომ ჰკრა ხელი ისედაც ამ გაუბედურებულ ადამიანს, რომელიც აღმოჩნდა წარსულში ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ჩინით პოლკოვნიკი. მათ ბრძანების კილოთი დაგვიწყეს ჩხუბი, თუ ახლავე არ ამოიყვანთ, მილიციას გამოვიძახებთო. ჰამლეტი ძალიან გააღიზიანა მათი მხრიდან უსამართლო აგრესიამ, ტალახიანი ხელები შეიწმინდა სველ ბალახზე, დინჯად მიუახლოვდა მყვირალა რუსის ქალბატონებს და თავისი უზადო რუსულით და ღრმა ლოგიკით არგუმენტირებულად ყველა გააჩუმა, ისე რომ ბოდიშიც კი მოიხადეს და ჩვენ წამოვედით სასტუმროსკენ.

მე ხუმრობის ხასიათზე ვიყავი და ჰამლეტს ვუთხარი: — ჩემო დიმიტრიჩ, ცოტა ხანს შევიცადოთ, სანამ ეს ქალები წავლენ! მან გაკვირვებით მკითხა მიზეზი: — იმიტომ, რომ ცოდოა ის ლოთი იქნებ ამოვათრიოთ, არ გაცივდესმეთქი. მან ნაძალადევად გამიღიმა და მომიგო: — ყმაწვილო, თუ ასე ძალიან გეცოდება, ახლა შენ ამოიყვანე!

დავბრუნდით სასტუმროში და ეს ინციდენტი დიდხანს გაგვყვა სახუმაროდ.

მეგობრებო, შეიძლება ეს ისტორია, არც არასოდეს განმხსენებოდა, რამეთუ ასეთი შემთხვევები ხშირად იყო, მაგრამ ამ უბედურების ჟამს, როდესაც რუსეთის თვითმფრინავები უმოწყალოდ ბომბავს ჩვენს სამშობლოს ამ ლოთის ქცევა თქვენ არაფერს გვეუბნებათ?

ჩვენ ადამიანური, ქრისტიანული მორალით მოვიქეცით და რომ გვგონია, მას აზროვნება აღარ გააჩნია, აღმოჩნდა რომ დიდი ხნის წინათ მასში ჩანერგილი „Твоя рука крепко держит великую державу“ არ დავიწყებია. განა, დღევანდელი რუსეთის ქმედება არ გავს, იმ ლოთის მოქმედებას? რომ ნოსტალგია აქვს საბჭოთა კავშირის და არ უნდა ხელი გაუშვას ქვეყანას, რომელიც ადრე მის შემადგენლობაში შედიოდა. ამ დროს თავისი მოუქნელი და უხეში პოლიტიკით, რომელიც გაატარა საქართველოს მიმართ, მოტრიალდა და ისევ იმ აშმორებულ ტალახიან გუბეში ჩაწვა. აფხაზებიც და ოსებიც გვერდით მოიწვინა. ალბათ, მათი ადგილიც იქ არის.

ღმერთმა შეუნდოთ ყველაფერი იმ სიბოროტისთვის, რაც მათ ჩვენს ქვეყანას დაატეხეს თავს.

**ირაკლი მათიკაშვილი**

# „აგროდაზღვევის“ გარეშე სოფლის მეურნეობაში წარმატებულ შედეგებს ვერასდროს მივაღწევთ

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

უნდა გვახსოვდეს, რომ მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვავის ნიშნებს, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს 24 საათის განმავლობაში, სატელეფონო ზარით. ამავდროულად, 5 სამუშაო დღეში ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის პირადი ნომერი/ საიდენტიფიკაციო კოდი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და განხორციელებული რისკი. დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში დამზღვევი წერილობითი განცხადებით მიმართავს მზღვეველს. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში ადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს. თუ ამ ვადაში მზღვეველი არ შეადგენს დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს, იგი გადაუხდის სააგენტოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 (ორმოცდაათი) ლარს. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა აღემატება 500 (ხუთასი) ლარს, მზღვეველი ვალდებულია გააფორმოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი დაუყოვნებლივ. პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისაგან. ამასთან, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სრულად იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი წერილობითი განცხადებით არ მიმართავს მზღვეველს დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღეში;

სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით დამზღვევის/მოსარგებლის მიმართ;

იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ზიანის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხის 10 %-ს, დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია მოსთხოვოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურება და შესაბამისი პირგსამტეხლოს გადახდა დაუყოვნებლივ.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:

ა) საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო-სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტულ მიკროზონას და აგროკულტურას) დაუცველობით;

ბ) დაუზღვეველი რისკებით მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკ(ებ) ის შედეგად;

გ) დამზღვევის/მოსარგებლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის დამზღვევის/მოსარგებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.

6. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ასევე:

ა) ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:

ა.ა) დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;

ა.ბ) ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;

ა.გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;

ბ) ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც არ წარმოადგენს წინამდებარე პროგრამით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.

— **როგორია სადაზღვევო პოლისის გაცემის წესი და პირობები?**

— დამზღვევსა და მზღვეველს შორის ფორმდება სადაზღვევო პოლისი, დამზღვევის მიერ წარდგენილი დაზღვევის განაცხადის საფუძველზე. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, დაიზღვევა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი და რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი მონაცემები: საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი ან/და GPS კოორდინატები და ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი. ამ მონაცემების წარდგენა ევალება დამზღვევას, გარდა GPS კოორდინატების მონაცემებისა, რომელსაც წარადგენს მზღვეველი.

— **რა ჯდება სადაზღვევო პოლისის ყიდვა?**

— პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისების გაყიდვისთვის გასაცემი საკომისიო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ტარიფის 20 %-ს.

— **როგორია სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი?**

— დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის დამზღვევისათვის განსაზღვრული წილი გადაიხადოს პოლისის გაცემისთანავე სრულად და ერთჯერადად. სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილის გადახდას უზრუნველყოფს სააგენტო №1 დანართის შესაბამისად.

— **როდიდან იწყებს მოქმედებას დაზღვევის პირობები?**

— დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვევლის ვალდებულება ძალაში შედის:

ა) ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-ამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე, სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში — სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არა უადრეს 10 კალენდარული დღისა;

ბ) მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც:

ბ.ა) ხილი — დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში, გარდა ბლის, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0,4 სმ-ს დიამეტრში;

ბ.ბ) კენკრა — მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

ბ.გ) ყურძენი — გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილია და ვიზუალურად გარჩევადია) .

— **როდის ხდება დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა?**

— დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;

გ) მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;

დ) მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;

ე) მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილი) სრული განადგურება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და პროგრამით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

— **როგორ ხდება ზიანის ანაზღაურება?**

— სადაზღევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მზღვევლის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე, ხოლო დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში — დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. ამასთან, მზღვევლის მიერ წინამდებარე პუნქტში მითითებული წესით გაანგარიშებულმა სადაზღვევო ანაზღაურებამ არ უნდა გადააჭარბოს რეალური ზიანის ოდენობას, მითითებული ორი სიდიდიდან იმ თანხას, რომელიც უფრო მცირე იქნება: სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად განადგურებული მოსავლის რეალურ ღირებულებას, ან ნორმატიული ფასის მიხედვით გაანგარიშებულ ღირებულებას, თუ მზღვეველსა და დამზღვევს ან მოსარგებლეს შორის სხვა შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

მზღვევლის პასუხისმგებლობა მცირდება მზღვევლის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

— **განადგურებული მოსავლის რეალური ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში რა ფაქტორები მიიღება?**

— მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში მისი საშუალო საბაზრო ფასი. საშუალო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ან დადგენილ უნდა იქნეს სსიპ — ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით;

ასევე სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა.

— **თუ ვერ მოხერხდა დაზიანების პროცენტზე შეთანხმება?**

— თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეჩერდება ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯი თანაბრად იქნება განაწილებული დავაში მონაწილე პირებზე.

— **ბატონო მამუკა, თუ შეიძლება გვითხრათ კონკრეტულად რა დაჯდება 1 ჰა რქაწითელის და 1 ჰა საფერავის ვენახის დაზღვევა ანუ რამდენის გადახდა მოუწევს მესაკუთრეს?**

— მთავრობის მიერ დამტკიცებული აგროდაზღვევის დანართის მიხედვით 1 ჰა რქაწითელის და საფერავის ვენახის ნორმატიული მოსავალი განსაზღვრულია 10 000 კილოგრამით, ხოლო 1 კგ საფერავის ნორმატიული ფასი 1 ლარზე, 1 კგ რქაწითელის ფასი 0,80 ლარზეა გათვლილი. ერთი ჰექტარი საფერავის ნორმატიული ფასი იქნება 10 000 ლარი, ხოლო 1 ჰა რქაწითელის 8 000 ლარი.

მინიმალური სადაზღვევო ფასი განსაზღვრულია 8,0 პროცენტით და მაქსიმალური 12,0 პროცენტით. თუ ავიღებთ საშუალოდ 10,0 პროცენტს 1 ჰა საფერვზე გადასახდელი სადაზღვევო თანხა იქნება 1000 ლარი. ამ თანხის 50-60 პროცენტს იხდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო, დარჩენილ სხვაობას კი გადაიხდის დამზღვევი (მიწის მესაკუთრე). ასეთივე წესით მოხდება სადაზღვევო თანხის გადახდა 1 ჰა რქაწითელის ვენახის დაზღვევისას.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

P.S. ახლახანს შევიტყვეთ, რომ „აგროდაზღვევაში“ მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სადაზღვევო კომპანიებმა: „ალდაგმა“, „ჯი პი აი ჰოლდინგმა“, „აი სი ჯგუფმა“, „არდი ჯგუფმა“, „უნისონმა“ და დაზღვევის საერთაშორისო კომპანიამ „ირაომ“.

**აგრო დაზღვევა 2016-წელი**

| სასოფლო სამეურნეო კულტურა | სააგენტოს თანამონაწილეობა | სააგენტოს თანამონაწილეობა რეგისტრირებული ნაკვეთის შემთხვევაში | დამზღვევის თანამონაწილეობა | დამზღვევის თანამონაწილეობა რეგისტრირებული ნაკვეთის შემთხვევაში | მინიმალური სადაზღვეო ტარიფი | მაქსიმალური სადაზღვეო ტარიფი | ნორმატიული ფასი ლარი/ჰა | ნორმატიული ფასი ლარი/კგ | ნორმატიული მოსავლიანობა კგ/ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარცვლეული კულტურები | | | | | | | | | |
| ხორბალი | 70% | 80% | 30% | 20% | 6.00% | 8.50% | 1.500 | 0.5 | 3000 |
| ქერი | | | | | | | 1.320 | 0.6 | 2200 |
| სიმინდი | | | | | | | 2.250 | 0.5 | 4500 |
| პარკოსანი კულტურები | | | | | | | | | |
| ლობიო | 70% | 80% | 30% | 20% | 6.00% | 7.80% | 3.400 | 2 | 1700 |
| მზესუმზირა | | | | | | | 2.300 | 1 | 2300 |
| სოიო | | | | | | | 2.500 | 1 | 2500 |
| | | | | | | | | | |
| ბოსტნეული | | | | | | | | | |
| ბადრიჯანი | 70% | 80% | 30% | 20.00% | 8.00% | 11.00% | 15.000 | 0.5 | 28000 |
| წიწაკა | | | | | | | 15.000 | 0.5 | 28000 |
| კომბოსტო | | | | | | | 15.200 | 0.4 | 38000 |
| პომიდორი | | | | | | | 12.000 | 0.4 | 30000 |
| კიტრი | | | | | | | 13.500 | 0.5 | 27000 |
| კარტოფილი | | | | | | | 15.000 | 0.6 | 25000 |
| ხახვი | | | | | | | 12.500 | 0.5 | 25000 |
| ნიორი | | | | | | | 14.400 | 1.8 | 8000 |
| სტაფილო | | | | | | | 16.250 | 0.65 | 25000 |
| ჭარხალი | | | | | | | 15.000 | 0.5 | 30000 |
| ბაღჩეული კულტურები | | | | | | | | | |
| საზამთრო | 70% | 80% | 30% | 20% | 10.00% | 13.00% | 10.000 | 0.25 | 40000 |
| ნესვი | | | | | | | 10.000 | 0.4 | 25000 |
| | | | | | | | | | |
| ვაზი | | | | | | | | | |
| თეთრი | 50% | 60% | 50% | 40% | 8.00% | 12.00% | 8.000 | 0.8 | 10000 |
| შავი | | | | | | | 10.000 | 1 | 10000 |
| ხეხილი | | | | | | | | | |
| ვაშლი | | | | | | | 25 | 1 | 25000 |
| მსხალი | 70% | 80% | 30% | 20% | 8.0% | 11.00% | 18.000 | 0.9 | 20000 |
| კომში | | | | | | | 20.000 | 1 | 20000 |
| ბალი, ალუბალი | | | | | | | 22.500 | 1.5 | 15000 |
| ატამი | | | | | | | 13.800 | 0.6 | 23000 |
| გარგარი | | | | | | | 22.500 | 1.5 | 15000 |
| ქლიავი | | | | | | | 14.400 | 0.9 | 16000 |
| | | | | | | | | | |
| კენკროვანი კულტურები | | | | | | | | | |
| მარწყვი | 70% | 80% | 30% | 20% | 10.00% | 13.00% | 13.500 | 1.5 | 9000 |
| ჟოლო | | | | | | | 14.000 | 2.8 | 5000 |
| მოცხვარი | | | | | | | 12.000 | 2 | 6000 |
| მოცვი | | | | | | | 32.000 | 4 | 8000 |
| | | | | | | | | | |
| კაკლოვანი კულტურები | | | | | | | | | |
| თხილი | 70% | 80% | 30% | 20% | 6.00% | 7.80% | 6.000 | 4 | 1500 |
| კაკალი | | | | | | | 16.000 | 4 | 4000 |
| სუბტროპიკული კულტურები | | | | | | | | | |
| კივი | 70% | 80% | 30% | 20% | 10.00% | 13.00% | 18.000 | 1 | 18000 |
| სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი | | | | | | | 10.800 | 0.6 | 18000 |
| ფეიხოა | | | | | | | 12.000 | 1.5 | 8000 |
| ციტრუსი | | | | | | | | | |
| მანდარინი | 70% | 80% | 30% | 20% | 8% | 11% | 10.000 | 0.5 | 20000 |
| ლიმონი | | | | | | | 13.600 | 0.85 | 16000 |

# მეცნიერები და ექიმები გვირჩევენ, გვთავაზობენ, გვაფრთხილებენ

## მეცნიერი ამტკიცებს, რომ სიკვდილი არ არსებობს



რეგენერაციული მედიცინის სპეციალისტი და კომპანია Advanced Cell-ს სამეცნიერო ხელმძღვანელი რობერტ ლანცი, რომელიც ცნობილი გახდა უჯრედების კვლევის და გადაშენებადი ცხოველების კლონირებით, აცხადებს, რომ სიკვდილი არ არსებობს.

თავის წიგნში სახელწოდებით "ბიოცენტრიზმი: ცხოვრება და ცნობიერება — სამყაროს რეალური ბუნების წვდომის გასაღები", ლანცი ირწმუნება, რომ სხეულის სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე არ სრულდება, არამედ სამუდამოდ გრძელდება. მისი აზრით, სიკვდილი ილუზიაა, რომელიც ადამიანების ცნობიერში იქმნება, რადგან ადამიანი თავს თავის "ფიზიკურ მატარებელთან" აიგივებს.

რამდენიმე წლის წინ მკვლევარი ფიზიკით დაინტერესდა, კვანტური მექანიკით და ასტროფიზიკით და ამ დისციპლინებით გადაწყვიტა, თავის მოსაზრება

დაემტკიცებინა. ლანცის ვერსიით, ცნობიერება დროისა და სივრცის მიღმა არსებობს და შეიძლება ნებისმიერ ადგილას იმყოფებოდეს: ადამიანის სხეულში და მის მიღმაც.

წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ სამყარო სინამდვილეში მრავალია და ყოველი მათგანი შეიცავს სიტუაციების სხვადასხვანაირ განვითარებას. თუ ერთ სამყაროში სხეული მოკვდა, მეორეში ის ცხოვრებას აგრძელებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გარდაცვლილი გვირაბის გავლის შემდეგ ხვდება არა სამოთხესა ან ჯოჯოხეთში, არამედ ისეთივე სამყაროში, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ იქ ისევ ცოცხალია.

ლანცის კონცეფცია ახალი არაა, მაგრამ მისმა არგუმენტებმა ინტერნეტ-მომხმარებლები სერიოზულად ააღელვა.

## მეცნიერებმა შოკოლადის საოცარი თვისებები აღმოაჩინეს



ამერიკის ჯანმრთელობისა და კვების კვლევის ცენტრის მკვლევარებმა ახლახანს აღმოაჩინეს, რომ შოკოლადი შეიცავს დიდი ოდენობით ანტიოქსიდანტებსა და პოლიფენოლებს. ეს ის ნივთიერებებია, რომლებიც აფერხებს კიბოს უჯრედებისა და კიბოს განვითარებას. უფრო მეტიც, შოკოლადი კიდევ უფრო სასარგებლო ყოფილა, ვიდრე ახლადგამოწურული წვენები.

ექსპერიმენტისას მეცნიერებმა შოკოლადისა და ხილის და კენკრის წვენი ერთმანეთს შეადარეს. აღმოჩნდა, რომ ერთი ულუფა შოკოლადი ბევრად უფრო სასარგებლო ყოფილა, ვიდრე ხილის ან კენკრის ნარევი.

ამერიკელი პროფესორი კარლ კინი მიიჩნევს, რომ შოკოლადი ადამიანს გულის შეტევისა და ინსულტისგან იცავს, ხოლო შოკოლადის რეგულარული მოხმარება ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას სისხლძარღვებსა და ტვინში.

პროფესორი შოკოლადს ასპირინს ადარებს, რომელსაც გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება.

შეგახსენებთ, რომ შოკოლადი შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმს, მაგნიუმსა და ფოსფორს, რომლებიც ძალიან სასარგებლოა ცენტრალური ნერვული სისტემისთვის, ააქტიურებს აზროვნებას. გარდა ამისა, ექიმები გაციების ან ყელის ტკივილის დროსაც შოკოლადის მიღების რეკომენდაციას იძლევიან.

## იყავით ფრთხილად, როცა ბანანს ყიდულობთ! იცით თუ არა, რას ნიშნავს მასზე დაკრული ეტიკეტები?

დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეგინიშნავთ ბანანზე დაკრული პატარა ეტიკეტი, მაგრამ დაფიქრებულხართ ოდესმე, რას ნიშნავს ის?

1. თუკი მასზე 4-ნიშნა კოდია, რომელიც 3-იანით ან 4-თ იწყება, ეს ნიშნავს, რომ პროდუქტი სოფლის მეურნეობის პრინციპით არის მოყვანილი, რაც სასუქისა და პესტიციდების გამოყენებას გულისხმობს.

2. თუ პროდუქტზე დაკრული ეტიკეტი 5-ნიშნა კოდით არის და ეს კოდი 9-იანით იწყება, ნიშნავს, რომ პროდუქტი ტრადიციული მეთოდით არის მოყვანილი, როგორც ამას ათასწლეულობით აკეთებდნენ. ახლა ამ მეთოდს "ორგანულს" უწოდებენ, მარტივად რომ ვთქვათ, პესტიციდებისა და სასუქის გარეშე.



3. თუ პროდუქტს 5-ნიშნა კოდი აქვს, რომელიც 8-იანით იწყება, ეს ნიშნავს, რომ ის გენეტიკურად მოდიფიცირებულია, ანუ როგორც ფართოდ გავრცელებულია, გმო-ა.

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ მეტ ყურადღებას მიაქცევთ იმას, რას ყიდულობთ და რას მიირთმევთ!

## მეცნიერებმა კიბოსგან თავდაცვის საიდუმლო გაშიფრეს

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა (რომელშიც ოთხი ქვეყნის სპეციალისტები შედიან) აღმოაჩინა მექანიზმი, რომელიც ადამიანის ორგანიზმის უჯრედებს

საშუალებას აძლევს თავი დაიცვან გადაგვარებისაგან (ანუ კიბოს განვითარებისაგან). შოტლანდიის, დანდის უნივერსიტეტისა და სინგაპურის ექსპერტთა კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია გამოცემაში Genes And Development.

ამ მეცნიერებმა შეისწავლეს p53 გენის ფუნქცია. ეს გენი აჩერებს (ბლოკავს) სიმსივნური უჯრედების განვითარებას. მის შესახებ მეცნიერებს უკვე 30 წელია აქვთ ინფორმაცია; დადგენილია, რომ ეს გენი დაზიანებულ უჯრედებს თვითგანადგურების ბრძანებას აძლევს. გარდა ამისა, მას შეუძლია შეაჩეროს დაზიანებულ უჯრედთა გამრავლება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზმში განახლების პროცესი მიმდინარეობს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, მათ მიერ შესწავლილ კიბოს შემთხვევათა 50 %-ში აღნიშნული გენი დაზიანებული ან უმოქმედო იყო, რის შედეგადაც დაზიანებული უჯრედები თავისუფლად მრავლდებოდნენ და სიმსივნურ წარმონაქმნებს აძლევდნენ დასაბამს.

მეცნიერებმა საინტერესო ექსპერიმენტები ჩაატარეს დანიო რერიოს თევზებზე, რომელთა p53 გენი ადამიანის იდენტურია. ექსპერიმენტების მსვლელობისას მათ ნახეს, რომ ეს გენი გამოიმუშავებს არა მხოლოდ აქამდე ცნობილ პროტეინს, არამედ მის დამატებით ვარიაციას, რომლის ფუნქციაც გენის მუშაობის მექანიზმთა ჩართვა-გამორთვაა. ჩვეულებრივ პირობებში დანიო რერიოს თევზებს შეუძლიათ რადიაციის მცირე დოზების გადატანა, ისეთი დოზებისა, რომლებიც აზიანებს დნმ-ს, რადგანაც მათი p53 გენი დასხივებით მიყენებული ზიანის აღმოფხვრა-აღდგენას უზრუნველყოფს. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ p53 გენი „ჩამრთველის" დაზიანების შემთხვევაში თევზები იღუპებოდნენ.

პ53 გენის ფუნქციები მეტად მნიშვნელოვანია კიბოს მკურნალობაში. როგორც კვლევის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი დევიდ კეინი აცხადებს, ქიმიოთერაპია და რადიოთერაპია ნაწილობრივ იწვევს უჯრედთა თვითგანადგურებას დნმ-ის დაზიანების საპასუხოდ, ამიტომაც კიბოს უჯრედების აღმოცენების მექანიზმთა შესწავლისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, როგორ მუშაობს p53 გენი.



## პროდუქტები, რომლებიც კიბოსგან დაგიცავთ

წითელი ხორცი, შებოლილი ხორცი, ძეხვი, ლორი, მარილიანი საკვები, ჩიპსები, ბულიონის კუბები, ლიმონათი, ალკოჰოლი, როგორც ცნობილია, კიბოს დაავადების რისკებს ზრდის. დიეტოლოგი ლაილა მეიე ალტერნატიული პროდუქტების ჩამონათვალს გთავაზობთ, რომელიც კიბოსგან დაგიცავთ.

კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, თალგამი, ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო და სხვა მსგავსი პროდუქტი. ისინი შეიცავენ ჩ და ვიტამინებს, მაგნიუმს, კალიუმს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს. კომბოსტო განსაკუთრებით ფილტვის, პროსტატის და ნაწლავის კიბოსგან დაგიცავთ.

კენკრა, განსაკუთრებით მარწყვი და ჟოლო, ასევე მოცვი, კანის, შარდის ბუშტის, ფილტვის, საყლაპავი მილის და მკერდის კიბოსგან დაგიცავთ, ასევე ებრძვის ანთებას და სხვა ქრონიკულ დაავადებებს.

ვაშლს გააჩნია ანთების საწინააღმდეგო აქტივობა. ვაშლი იცავს უჯრედებს დაზიანებისგან და კლავს კიბოს უჯრედებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ვაშლის რეგულარული მოხმარება ამცირებს ფილტვის და მსხვილი ნაწლავის კიბოს რისკს.

ალუბალი ზღუდავს კიბოს განვითარებას და კანცეროგენების ზემოქმედებას ასუსტებს.

მარცვლეული, ხორბლის და ჭვავის, შვრიის, ქერის, სიმინდის პროდუქტები, ფეტვი, წიწიბურა, ყავისფერი და ველური ბრინჯი. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ორგანიზმს კიბოსგან იცავენ.

სელის პროდუქტები ძუძუს, საკვერცხეებისა და პროსტატის კიბოს ებრძვის.

ხახვი, ნიორი, პრასი და გარეული ნიორი — ეს პროდუქტები ორგანიზმს ეხმარება კიბოს უჯრედების განადგურებაში.

ყავა, რომელიც ადრე ითვლებოდა, რომ კიბოს რისკს ზრდიდა, ბოლო კვლევებმა საპირისპირო დაადასტურა. ყავა არის ანტიოქსიდანტი, რომელიც იცავს ანთებით პროცესებს.

ჩაი ბევრ აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს, თუმცა მათი რაოდენობა მომზადების მეთოდზეა დამოკიდებული. მაგალითად, კოფეინი ასტიმულირებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ჯერჯერობით მეცნიერებმა სრულფასოვნად მწვანე ჩაის შესწავლა შეძლეს.

ლობიო, ბარდა, ოსპი — ლობიო სავსეა ბოჭკოვანი ცილებით, ვიტამინებით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით, რაც კიბოს უჯრედებს ებრძვის. აღსანიშნავია, რომ ლობიო ცილების წყაროს წარმოადგენს და წითელი ხორცისა და ხორცის პროდუქტების შეცვლა შეუძლია.

გოგრა აძლიერებს იმუნიტეტს.

სალათის ფოთოლი, ისპანახი, ვარდკაჭაჭას ფოთლები — ძუძუს, კანის, ფილტვის და კუჭის კიბოს ებრძვის.

კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი გააჩნია პომიდორს, სტაფილოს, ციტრუსს, თხილს, ბროწეულს, ნესვს, საზამთროს, სოკოს, სოიოს.



## ვაშლის მოყვარულებში კიბოს ბევრი სახეობის აღმოცენების რისკი საგრძნობლად მცირდება

რატომ უნდა მივირთვათ ვაშლი რეგულარულად — ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ ადამიანი რეგულარულად მიირთმევს ვაშლს, მისი ტვინის უჯრედები დაცულია დაზიანება-განადგურებისაგან. ეს კი ხელს უწყობს არა მხოლოდ მეხსიერების გაუმჯობესებას, არამედ ახალგაზრდობის შენარჩუნებასაც. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ვაშლის წვენის (მისი რეგულარულად გამოყენების შემთხვევაში) გავლენის შესწავლა თავის ტვინის მდგომარეობაზე. უფრო კონკრეტულად კი, მეცნიერებს აინტერესებდათ რა სახის დაზიანებებისაგან დაიცავდა ვაშლის წვენი ადამიანთა ტვინის უჯრედებს.

ექსპერიმენტები ჩატარდა ზრდასრულ და ასაკოვან (დაბერებად) ვირთაგვებზე. ამ ცხოველთა თავის ტვინის დაბერების პროცესი ადამიანის ანალოგიურია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნივთიერებები, რომლებსაც შეიცავს ვაშლის წვენი და საკუთრივ ვაშლი, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ვირთაგვების თავის ტვინზე, კერძოდ, ამ ნივთიერებათა წყალობით თავის ტვინის უჯრედები დაცულია დაზიანება-განადგურებისაგან. მოგეხსენებათ, სწორედ ანალოგიური პროცესები უდევს საფუძვლად ალცჰეიმერის დაავადებას.

ის, რომ ვაშლის რეგულარულად გამოყენება აფერხებს დაბერების პროცესს, დიდი ხანია ცნობილია. ამ საკითხზე ავსტრალიელ მეცნიერებს არა ერთი საინტერესო დასკვნა აქვთ გამოქვეყნებული, მრავალწლიან კვლევებზე (10 წელზე მეტხანს მუშაობდნენ) დაყრდნობით. ამერიკელმა მეცნიერებმა თავისი მუშაობით მხოლოდ რამდენიმე საკითხი დააზუსტეს, პირველი ის, რომ ვაშლში შემავალი ანტიოქსიდანტები იცავს ადამიანის ორგანიზმს ინფარქტებისა და ინსულტების განვითარებისაგან, მეორე კი ის, რომ ვაშლის მოყვარულებში კიბოს ბევრი სახეობის აღმოცენების რისკი საგრძნობლად შემცირებულია.

ახალ კვლევებზე დაყრდნობით მეცნიერები აცხადებენ, რომ ფარმაცევტებს მალე შეეძლებათ შექმნან ახალი პრეპარატები (ვაშლის კომპონენტების საფუძველზე), რომლებიც განკუთვნილი იქნება მეხსიერების გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის.

**თინათინ გოცაძე**



# მიყვარხარ, კიდევ ბევრჯერ მიყვარხარ, დედა!

დეე მომენატრე! იმ დღეს ასე გითხარი და დამცინე, თითქოს ეჭვი შეიტანე ჩემს სიტყვებში, ბევრჯერ მიფიქრია ჩემსა და შენს ურთიერთობაზე და იცი ამ დროს რას ვგრძნობ? რომ შენი ვარ და დღეს მე როგორიც ვარ, ეს მხოლოდ შენი დამსახურებაა... მე ვიღებ სითბოს და სიყვარულს სხვებისგან, მაგრამ ვერანაირი სიყვარული და სითბო ვერ შეედრება შენგან წამოსულს. ეს სულ სხვაა, ამას ვერ გადმოსცემ. შენ ხარ ადამიანი, რომლის გავლენაც სახეზე მამჩნევია. შენ მე მასწავლე ყველაფერი და ამ ფერების შეხამებაც, მინდა იცოდე, რომ ეს შენ ხარ ბატონ-პატრონი ჩემი ხასიათის და განწყობის. დეე, იცი რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ შენ ყველაზე მეტად მჭირდები ცხოვრებაში! ვიცი, ჩემგან არ ხარ განებივრებული „მიყვარხარ“ დედის ძახილით, მაგრამ გთხოვ არ მიწყინო, ხომ იცი, რომ ეს მხოლოდ ჩემი ხასიათის ბრალია. შეიძლება არა ვართ საუკეთესო მეგობრები სხვების მსგავსად, არა ვარ კარგი შვილი, მაგრამ ჩემთვის შენ ხარ მსოფლიოში საუკეთესო დედა. სწორედ ამიტომ საჯაროდ შენს ქებას ვბედავ! ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ყოველთვის იცის რა მინდა, ის ერთადერთია, ვინც გამუდმებით ფიქრობს ჩემზე, ის ერთადერთია, რომელსაც ბევრი რამე ავიწყდება, მაგრამ არ ავიწყდება ის, რომ ჩამიკრას გულში და გამამხნევოს, როცა ეს ყველაზე მეტად მჭირდება. ის ერთადერთია, რომელსაც სამუდამოდ, ყველაფრის მიუხედავად ვეყვარები! ის ჩემთვის ერთადერთია.

# ჩემს სითბოს!

ჩემო სიმშვიდევ, ჩემო სულის ნაწილო, ნეტავ თუ იცი რად ღირხარ ჩემთვის! რად ფასობს შენი ნათქვამი ერთი მიყვარხარ, ნეტავ თუ იცი, რას განვიცდი, რას ვნატრობ ახლა?! ბებო... მიყვარხარ, მენატრები უსაზღვროდ. ბებო, ერთსა გთხოვ, არ იდარდო, არ გქონდეს ფიქრი, შენ ხომ შეძელი და მასწავლე ცხოვრების ხიბლი! ჩემო ერთო დიდო სიცოცხლე, შენ ხომ მაინც იცი, რომ მთელი ჩემი გამოვლილი ცხოვრება არც ისეთი დიდია, რომ ამდენ ტკივილს და ამდენ გახუნებულ დღეს იტევდეს, შენ ხომ მაინც იცი, რომ ვცდილობდი და არ გავჩერებულვარ არასდროს, შენ ხომ მაინც იცი, რამდენს ვოცნებობდი მაგრამ ჩემი ბედის მწერალს რა ვუთხრა?! რით გაგახარო?! შენ ხომ მაინც იცი, როგორ გავუწყალე გული ზემოთ მჯდომს, რამდენჯერ ვუარყავი, რამდენჯერ გავებუტე, რამდენჯერ გავშორდი და მერე იმდენჯერვე უკან შევეყარე. უკვე ერთი თვეა უშენობა ხასიათში მაქვს გადასული. ხო, არც ისე დიდი დროა, მაგრამ ჩემთვის ერთი დღეც კმარა უშენობა, რომ სულს დაემჩნიოს, ერთი დღეც კმარა, რომ ღიმილი ჩემს სახეს გაებუტოს. ქუჩაში დავდივარ ყალბად, უაზროდ, ბოლო დღეებია თავის ტკივილებს ვუჩივი, რა ვქნა, არ მელევა ფიქრები შენზე...

მაგრამ ნუ დარდობ, ნუ შფოთავ, ბებო! სანამ სიცოცხლე ჩემში იცოცხლებს, არ გავჩერდები არც ერთი წუთით, არც ერთი წამით! ვაი, თუ იცის უბადრუკმა ჩემმა ბედმა ვის ხელში აქვს მკლავები, ვის ჩაუდგა ჯიბრში, ვაი თუ იცის, რომ სამარის კარამდე არ აკლია დიდი მანძილი.

ეს ზამთარიც გადაიძრობს საბანს, გულშიც სითბო ჩამიდგება ალბათ... რა გაიფიქრე ნეტავ? არა, უშენობას ვერ ვეჩვევი, არც შენზე ფიქრს გადავეჩვევი, ალბათ უფრო ძლიერად მომენატრები არა უბრალოდ... ბებო, ქარიშხალს ველოდები დიდი ნიაღვრით, შენ არ აწვალო ეგ ჩემი გული, მოვა, მოვა, აბა რას იზამს, განა აქვს კი სხვაგან გასაქცევი? მოვა და წაიღებს ყველაფერს, ყველა დღეს გაბზარულს და მოიტანს სიმშვიდეს მთელი ცხოვრება რომ ვეძებ და ბედნიერებას შენი და ჩვენების სახით.

დრო მაგარი „კაცია“, მასაც შენსავით ესმის ჩემი, ისიც შენსავით მიდგას გვერდში, მეხმარება ყველაფრის დალაგებასა და დაწყობაში. დროსვე გავატანე ბევრი რამე, მაგრამ კიდევ ბევრი აქვს წასაღები... ხანდახან ვფიქრობ და მეცინება, სატირალი რომ არ იყოს: რამდენის ატანა შემძლებია და კიდევ რამდენი მაქვს ასატანი ვინ იცის... მაგრამ, სადღაც გულში შიგნით მიხარია იმიტომ, რომ უფრო მეტი ძალით ვივსები ყველა გამოვლილი ბრძოლის შემდეგ.

მოკლედ სათქმელი ბევრია, უბრალოდ სიტყვები ვერ იტევს ზოგჯერ ჩემს სიყვარულს. თხოვნა მაქვს შენთან, ამ წერილის არსიც სწორედ ამაშია და კიდევ იმაში, რომ მენატრები, თავს მინდა გაუფრთხილდე, როგორც ჩემი თვალის ჩინს ისე, ცოტა მოითმინე, მოთმინებაც ხომ შენგან ვისწავლე და მაგ თბილ ხელებსაც მალე დაგიკოცნი, ჩემო დიდო სტიმულო! გახსოვდეს შენ ხარ ნომერ პირველი სიყვარული, ნომერ პირველი პრობლემა და ნომერ პირველი ტკივილი ჩემთვის. ამიტომ გთხოვ... არასდროს მატკინო!

მიყვარხარ!!!

მენატრები!!!

შენი ინო.

# დღეს ჩემი „სისუსტე“ კიდევ ერთხელ, მესამოცედ დაიბადა

ბრძენს უთქვამს, თითოეულ ადამიანს განურჩევლად ძლიერებისა და სისუსტისა, ყველას უპოვი ერთ სუსტ წერტილს მაინცო, ხო და არც მე ვარ გამონაკლისი, რადგან თვითონ ჩემი „სისუსტეა“ ჩემთვისაც დიდი გამონაკლისი. „სისუსტეც“ სისუსტეა, მაგრამ სისუსტესაც შესძლებია თურმე სიძლიერედ ქცევა. თუ მკითხავ, როგორი ვარ, გიპასუხებ: რამდენადაც სუსტი, იმდენადვე ძლიერი. ჩემს „სისუსტესაც“ ისე უყვარს სიჩუმე, როგორც მე და აგერ უკვე ოცდამესამე წელიწადია უთქმელად გვესმის ერთმანეთის. მინდა გავიხსენო წყენა, გულის ტკენა მაგრამ ჩემს „სისუსტეს“ გეფიცებით, ვერ ვპოულობ ვერსად ვერც „შიგნით“ და ვერც „გარეთ“. ეს ის შემთხვევაა „სისუსტე“ რომ ყველაზე მაგარი „ტიპია“ შენთვის. მაგარ „ტიპობას“ ვერ დავიჩემებ, მაგრამ სწორედ მისგან ვისწავლე გარდაცვლილის თავიდან დაბადებაც და სიყვარულიც მისგან ვისწავლე ახლა რომ ვუბრუნებ უკან. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ვინმესთვის, იმდენადვე სასიამოვნო და საამაყოა ჩემთვის ჩვენი მეგობრობა. ვმეგობრობთ არავის და არაფრის მსგავსად, უბრალოდ ჩვენებურად, ერთმანეთს არაფერს ვეკითხებით, უბრალოდ ვუთანხმებთ, ერთმანეთისგან ნებართვას არ ვიღებთ, უბრალოდ ვენდობით, ყოველ დღე ვუხსნით ერთმანეთს სიყვარულს და ამას ისე ვაკეთებთ, თითქოს ეს პირველად ხდებოდეეს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე შუბლს მიკოცნი ისე, როგორც ბავშვობაში, ჩვენ მაინც ვამსხვრევთ სიტყვებს „ჯერ ბავშვია“, დიახ, ჩვენ დიდი ხნის წინ გავიზარდეთ ერთმანეთისთვის მაშინაც კი როცა ეს შესაძლოა არც იყო ასე, მაგრამ დღემდე მოვედით, თან ისე თითქოს არც დაგვიწყია, სუფთად. თუ მკითხავ, როგორ ვარ, გიპასუხებ: „სუსტად“, თუ მკითხავ, ვის ვგავარ, არა, არ მკითხავ ამას უთქმელადაც შევამჩნევ.

... და „შენ“ ვინც არ უნდა იყო, თუ როდესმე ჩემს თვალებში ჩახედვა და შენივე თავის დანახვა გადაწყვიტე, გადაიფიქრე, რადგან ის ყოველთვის დარჩება ჩემს პირველ სიყვარულად და შენ ყოველთვის მეორედ.

დღეს ჩემი „სისუსტე“ კიდევ ერთხელ, მესამოცედ დაიბადა და ისე იქნება მანამ სამან „სისუსტე“ დაიძლევა. ჰეი, ღმერთო არასდროს „დამაძლევინო“ ჩემი სისუსტე, არასდროს! მამ... გილოცავ კიდევ ერთ დაბადებას და ვულოცავ ჩემს თავს შენს თავს.

თქვენ კი განურჩევლად ყველას ასეთ სისუსტეს გისურვებთ!

**ინო ოსიაშვილი**

# მამა ვახტანგი (დავითაშვილი): ქართველ კაცს ვერავინ დაარწმუნებს, რომ სოდომია, გარყვნილება და აღვირახსნილობა მისი ისტორიული არჩევანია



„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ჭოპორტის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარი **მამა ვახტანგი (დავითაშვილი)**.

**— მამა ვახტანგ, წინა კვირას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ევროკომისიის დახმარებით საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგანგებო შეხვედრა გამართა და „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანი აღსრულების პრობლემებზე იმსჯელა. ამ ღონისძიებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ზემოაღნიშნული კანონი მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დარჩეს და იგი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე რეალურად უნდა აისახოს. რას მოგვიტანს ამ კანონის „ეფექტიანი აღსრულება“ და რას მივიღებთ შედეგად?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. უწინარესად, მინდა, სრულიად საქართველოს მივუსამძიმრო იმ ტრაგედიის გამო, რომელიც 13 ივნისს მოხდა. ეს დიდი უბედურება იყო და უნდა დავფიქრდეთ ამაზე. უნდა გვახსოვდეს, რა ახლოს არის სიკვდილი და რა მოულოდნელად შეიძლება გვიწიოს.

რაც შეეხება ამ უბედურების გამომწვევ მიზეზებს, გაკეთდა უამრავი განცხადება და გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ მთავარი, ფაქტობრივად, არავის უთქვამს. ვფიქრობ, ამ ყველაფრის მიზეზთა მიზეზი არის ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი, ჩემიც, მათ შორის, და სრულიად საზოგადოების. იმიტომ, რომ როგორც მადლი ვრცელდება — ცოდვებიც გროვდება. ერთ მონაკვეთს გავიხსენებ ბიბლიიდან: როდესაც კაენმა მოკლა აბელი, ღმერთი კაენს ეუბნება: შენი ძმის „სისხლი ღაღადებს“. ეს რას ნიშნავს? თითოეული ცოდვა, დიდი თუ მცირე, მძიმე თუ ნაკლებად მძიმე — არც ერთი ღვთის წინაშე არ იფარება და შემდეგ ეს ყველაფერი უბრუნდება ადამიანს განსაცდელის სახით, რათა მან თავისი ცოდვები შეინანოს. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვამბობ: თავის დროზე, როცა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, ეკლესია ითხოვდა, რომ გარკვეული დრო მოეცათ და გვემსჯელა უფრო საფუძვლიანად, უფრო დეტალურად და ამომწურავად. სამწუხაროდ, პარლამენტმა ეკლესიის თხოვნა ყურად არ იღო, ერის ხმას ყურადღება არ მიაქცია და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც იყო პირდაპირ ღვთის გმობა და უფლის წინააღმდეგ გალაშქრება. აი, ზუსტად ასეთ ცოდვებს მოსდევს ხოლმე განსაცდელი და უბედურება...

ახლა „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანად აღსასრულებლად გამართულ შეხვედრაზეც მოგახსენებთ: არ ვიცი, სად იყო ან როდის იყო და კონკრეტულად რაზე ისაუბრეს ამ შეხვედრაზე, მაგრამ ის, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უკვე ბევრი რამის მთქმელია. საერთოდ, ეს ორგანიზაციები უკვე უამრავ შეკითხვას აჩენენ — ვინ დგას მათ უკან, რა ძალები, რა ამოცანებს ემსახურებიან... მოკლედ, ეს გასარკვევია; თუმცა ერთი რამ ისედაც ცხადია, — მათ აქვთ უდიდესი გავლენა მმართველ ძალაზე და მეტიც: ისინი, ფაქტობრივად, მართავენ ქვეყანას. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდ საფრთხეებს შეიცავს სახელმწიფოსთვის იმიტომ, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები როდის და ვისი ინტერესების სამსახურში ჩადგებიან, კაცმა არ იცის...

**— „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანი ამოქმედება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ეს კანონი ვერ ამოქმედდება იმიტომ, რომ საქართველოში არ ირღვევა არავის უფლებები. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, — საქართველოში არავინ არავის დევნის სექსუალური ორიენტაციის ან რელიგიური შეხედულებების გამო. ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა და, როგორც ჩანს, ამ პროვოკაციას გარკვეული მიზანი აქვს...

**— ისინი თვლიან, რომ უფლებების დარღვევაა, როდესაც, ვთქვათ, 17 მაისს „ჰომოფობიის“ საწინააღმდეგო ღონისძიების გამართვას ვერ ახერხებენ.**

— გასაგებია, მაგრამ ჩვენ, ეკლესია, ვთვლით, რომ ეს არის გაუკუღმართებული ცხოვრების წესი და მომაკვდინებელი ცოდვა. თუკი ისინი გამოვლენ რუსთაველზე ან დედაქალაქის ნებისმიერ სხვა ადგილას და მოაწყობენ მსვლელობას, ვისი უფლებები დაირღვევა?

**— მათი აზრით, ეს დემოკრატიაა.**

— მათი აზრი გასაგებია — რომ შეეძლოთ, ერთსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებენ და ე.წ. ერთსქესიან ოჯახებს შვილის აყვანის უფლებასაც მისცემენ, მაგრამ მე სხვა რამეს ვგულისხმობ: ჩვენი საზოგადოების, სულ ცოტა, 80 პროცენტი ხომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი? იქნება თუ არა იმ, სულ ცოტა, 80 პროცენტის უფლებების დარღვევაა, აქ რომ გეიაღლუმი ჩატარდეს და სოდომური ცოდვით შეპყრობილმა ადამიანებმა ორგიები მოაწყონ?! რა თქმა უნდა, ეს იქნება სრულიად საქართველოსთვის უდიდესი შეურაცხყოფა, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ქართველი საზოგადოება არასოდეს შეეგუება ამ აღვირახსნილობას, საქართველო არასოდეს მიიღებს სოდომიას და გარყვნილებას, რაც უნდა დაგვაძალონ და თავს მოგვახვიონ ეს უბედურება...

**— წინა კვირას ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქვეყნის ორმოცდაათივე შტატში ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურად დაკანონდა. იმავე დღეს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს გააკეთებს, ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რომ განხორციელდესო. არის კი ასეთი დასავლეთი ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი? ხელისუფლება გვეუბნება, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი ისტორიული არჩევანია.**

— დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს, რომ ევროპამაც და დანარჩენმა მსოფლიომაც უნდა მიგვიღოს ისეთი, როგორიც ვართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ევროპა გვინდა, არც ამერიკა და არც რომელიმე სხვა ქვეყანა ან ქვეყნების გაერთიანება, რომლებიც ჩვენი კულტურის, ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებების დათმობას მოგვთხოვს.

რაც შეეხება ისტორიულ არჩევანს, რა პროპაგანდამაც უნდა იმუშაოს, რა იდეოლოგიის თავს მოხვევაც უნდა სცადოს ვინმემ, ქართველ კაცს ვერავინ დაარწმუნებს, რომ სოდომია, გარყვნილება და აღვირახსნილობა მისი ისტორიული არჩევანია. ეს ტყუილია და, საბედნიეროდ, საზოგადოება ამას კარგად ხედავს. სხვათა შორის, ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, დასავლური საზოგადოების არჩევანიც არ არის. გაიხსენეთ, რა ხდებოდა საფრანგეთში, როცა ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა. დარწმუნებული ვარ, ამერიკის საზოგადოებაშიც ანალოგიური განწყობებია და შეიძლება, იქ ძალიან მალე სერიოზული წინააღმდეგობები დაიწყოს.

დასავლურ საზოგადოებაში, იქნება ეს ამერიკის თუ ევროპის, კარგიც ბევრია და გადმოსაღებიც, მაგრამ, საუბედუროდ, იმ კარგს არავინ გვთავაზობს. რასაც ჩვენ გვთავაზობენ და რასაც ლიბერალიზმს ეძახიან, ჩვეულებრივი ფაშიზმია, ეს არის ღვთის უარყოფა და ემსახურება ერთადერთ მიზანს — ადამიანის სულიერად დაცემას და გაღატაკებას.

ამას ბევრი ვერ ხვდება და ჰგონია, ეს იდეოლოგია არის ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებები. 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ პატრიარქმა ქადაგებაში ბრძანა, ზოოპარკის გალიები გადამდნარი ზარების მასალით არის აწყობილიო და მის ნათქვამს როგორი განრისხება მოჰყვა ზოგიერთი ამ ე.წ. ლიბერალისგან, რომლებიც თითქოს დემოკრატიული ღირებულებებით ცხოვრობენ?! ლიბერალიზმი და დემოკრატია სხვისი აზრის პატივისცემა და მოსმენის კულტურაა, მათ კი პატრიარქის შეურაცხყოფა დაიწყეს. საკვირველია, რომ ეს ადამიანები თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებენ, არადა, თავიანთი აზრის გასავრცელებლად არ ერიდებიან ლანძღვას, შეურაცხყოფას, დაცინვასა და სხვა საზარელ ქმედებებს. ერთმა სასულიერო პირმა ქადაგებისას აღნიშნა, ასეთ სტიქიებში ღვთის ხელი ურევიაო; ავს და მტერს, რაც მის ქადაგებას მოჰყვა, მისი პირდაპირი შეურაცხყოფა დაიწყეს, არადა, ეს ხალხი თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებენ. აზრის გამოხატვის, მით უმეტეს, სიმართლის თქმის გამო შეიძლება, ადამიანი ასე შეურაცხყო?! ამ ყველაფერს ჰქვია დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული დემონოკრატია. სხვათა შორის, კარგი იქნებოდა, სამართალდამცავებს მოესმინათ ჩვენი გულისტკივილი, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში მიღებულია ანტიდისკრიმინაციული კანონი. კიდევ ვიმეორებ: ამას დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან საერთო არაფერი აქვს, ამ იდეოლოგიის უკან დგას სატანა თავისი მსახურებით, თავისი მსტოვრებითა და მონა-მორჩილებით.

**— მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში შეაქვთ ახალი საგანი „მე და საზოგადოება“, რომლის მიზანიც მოზარდებში „სამოქალაქო ცნობიერების“ ამაღლება და „განსხვავებულისადმი“ პატივისცემის დამკვიდრებაა, — ასე განმარტავენ განათლების სამინისტროში. მოკლედ, ეს საგანი არის სწორედ მოსამზადებელი ეტაპი იმისთვის, რომ ახლო მომავალში აქაც დააკანონონ ერთსქესიანთა ქორწინება. რის გაკეთება შეუძლია საზოგადოებას ან თუნდაც ეკლესიას, ეს პროცესი რომ შეაჩეროს?**

— უკვე ათეულ წელზე მეტია, სკოლებში მსგავსი საგნების შეტანას ცდილობენ. მას ხან „პირადი ჰიგიენა“ დაარქვეს, ხან — რა და ხან — რა. ის კი არა, წიგნებიც კი დაბეჭდეს, სადაც სიყვარულის აქტზე იყო საუბარი და ამ წიგნით 5-8 წლის ბავშვებისთვის უნდა ესწავლებინათ. ანუ, ამოცანა იყო, რომ ბავშვი თავიდანვე გაერყვნათ და მათთვის სასურველ იდეოლოგიურ კალაპოტში მოექციათ. მერე, ცხადია, ასეთ იდეოლოგიაზე გაზრდილი ადამიანი იოლი სამართავი იქნება, ის ყველაფერს მიიღებს, ყველაფერზე დათანხმდება, რადგან, ჯერ ერთი, თვითონაც ამ იდეოლოგიის წარმომადგენელია და მეორეც — წინააღმდეგობის თავი აღარ ექნება... სკოლებში ამ თემებზე დისკუსიების გამართვა და გაკვეთილების ჩატარება ყოვლად დაუშვებელია, ეს იქნება ჩვენი შვილების სასწავლო მერხებიდანვე გარყვნა. ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგება ეკლესია და საზოგადოება.

**— ვთქვათ, ამ პროპაგანდამ და იდეოლოგიამ მაინც მიაღწია მიზანს, რა თაობას მივიღებთ, რა ცვლილებები მოხდება ქართველ საზოგადოებაში?**

— მოხდება ის, რაც დღეს დასავლეთში ხდება, ვგულისხმობ ქართულ ცნობიერებასთან, ღირებულებებთან და ფასეულობებთან შეუსაბამო ცვლილებებს, თორემ იქ კარგიც ბევრი ხდება. მოკლედ, ყველაფერ იმას, რასაც დღეს ვერ ახერხებენ იმის გამო, რომ საზოგადოების ეშინიათ, პირნათლად შეასრულებენ. დაწყებული ერთსქესიანთა ქორწინებებით, დამთავრებული ე.წ. ერთსქესიანი ოჯახებისთვის შვილის აყვანის უფლების მიცემით — ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე გაფორმდება, თუმცა დარწმუნებული ვარ, საქართველოში ამას ვერ შეძლებენ იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება ამას არასოდეს შეეგუება. ეს იცის ყველამ — ხელისუფლებამაც და მისმა დასავლელმა პარტნიორებმაც, ამიტომაც ვერ ბედავენ და ვერც გაბედავენ ამ თემებზე საჯაროდ საუბარს...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

# სომხეთ-აზერბაიჯანის „სადაო მიწა“ — როგორ დაიწყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი



აზერბაიჯანისა და მთიანი ყარაბაღის ე. წ. საზღვარზე რამდენიმე დღეა ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს. შეიარაღებული დაპირისპირება სადაო ტერიტორიის გამო 2 აპრილს განახლდა და ამ დრომდე გრძლედება. ვრცელდება ინფორმაცია დაჭრილთა და დაშავებულთა შესახებ.

მთიანი ყარაბაღის ისტორიითა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის წარსულით, ALLNEWS.GE-ი დაინტერესდა. სააგენტო ისტორიკოსს, პროფესორ დიტო შველიძეს ესაუბრა. მისი განმარტებით, დღეს შეუძლებელია იმის თქმა, რომ აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად ან სომხეთს ან აზერბაიჯანს მიეკუთვნებოდა.

მთიანი ყარაბაღის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე სადაოდ იყო მიჩნეული. ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები გააჩნდათ ტერიტორიის ფლობასთან დაკავშირებით.

მივყვეთ ქრონოლოგიურად:

დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოდესღაც, ძალიან ადრე ქრისტიანი ალბანელები ცხოვრობდნენ. მე-11-ე საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი გამაჰმადიანდა. ალბანელები კი ან ძალიან ცოტანი დარჩნენ ან საერთოდ გადაგვარდნენ. სწორედ მეთერთმეტე საუკუნემდე განიხილებოდა მთიანი ყარაბაღი სომხეთის ტერიტორიად. მე-11-ე, მე-12-ე საუკუნიდან, როდესაც ტერიტორიაზე მაჰმადიანობა შემოდის და ჯერ თურქ-სელჩუკები და შემდეგ ირანი ბატონდება, ტერიტორიის რომელიმე სახელმწიფოზე მიკუთვნება თანდათან უფრო ბუნდოვანი ხდება.

მოგვიანებით, მე-19-ე საუკუნეში ტერიტორიები რუსეთმა დაიპყრო. ჩამოყალიბდა გუბერნიები. ყარაბაღის რეგიონი ერევნის გუბერნიაში შედიოდა და მოსახლეობის უმრავლესობა ამ დროისთვის სომხური იყო, თუმცა, ტერიტორიაზე აზერბაიჯანელებიც ცხოვრობნენ.

1918-21 წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვა აზერბაიჯანმაც და სომხეთმაც, ამ პერიოდში მთიანი ყარაბაღი სომხეთის დაქვემდებარებაში დარჩა.

ყველაფერი მაინც 1921 წლიდან იწყება. ამავე წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, ოსმალეთმა და რუსეთმა ამიერკავკასია გაიყვეს, რის შედეგადაც ყარაბაღი ცალსახად აზერბაიჯანის კუთვნილებაში შევიდა. კონფლიქტის გამომწვევი უშუალო მიზეზი ყარაბაღის აზერბაიჯანისთვის ცალსახად მიკუთვნება იყო.

საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში ყარაბაღი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილებაში იყო. 1988 წელს ძველმა ჭრილობებმა გაიღვიძა და სომხეთის ინიციატივით შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო. ეს ომი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. მიმდიონარეობდა მასობრივი სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც 1994 წელს ზავით დასრულდა.

1994 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. ომის დასრულების შემდეგ, შეიქმნა მინსკის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც კონფლიქტის მოსაგვარებლად რამდენიმე სახელმწიფო გაერთიანდა. თუმცა, კონფლიქტი წლების მანძილზე გაყინული იყო და აზერბაიჯანი ტერიტორიის დასაბრუნებლად დროს უცდიდა .

მთიანი ყარაბაღი დღეს დამოუკიდებელი წარმონაქმნია, არაღიარებული სახელმწიფო, რომელიც რეალურად სომხეთს ექვემდებარება. თუმცა, ოფიციალურად მთიანი ყარაბაღი სოიმხეთს არ შეერთებია.

ტერიტორიაზე მოსახლეობის უმრავლესობა სომეხია, თუმცა, მცირე რაოდენობით აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ. მათი დიდი ნაწილი 1988 წლის ომის პერიოდში გადასახლდა აზერბაიჯანში.

სისხლიანი დაპირისპირებისას აზერბაიჯანს თურქეთი, სომხეთს კი რუსეთი ეხმარება. იმასაც ამბობენ, რომ ფარულად და პერიოდულად იარაღით ორივე მხარე რუსეთისგან მარაგდება.

# ვაჟა ბაიდოშვილის მონატრება



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ, ჩვენო ივანიჩ, ჩემო საამაყო ვაჟა ძია! წახვედი მშვიდად და წყნარად, ისეთი როგორი წყნარი და გაწონასწორებულიც იყავი. ბუნება გიყვარდა უზომოდ და სწორედ იქ მოგისწრო მუხთალმა სიკვდილმა. მთელ სანათესაოს დაუტოვე დიდზე დიდი კითხვის ნიშანი — რისთვის, რატომ წაგვიხვედი ასე ნაადრევად, შენ ხომ ძალიან უფრთხილდებოდი შენს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მთელი შენი წლების მანძილზე! ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი კი შენს პატარა ვანიკოს დაუტოვე, რომელიც დღემდე კითხულობს და ვერ გაუგია სად წავიდა საყვარელი პაპა და რატომ, დადის ოთახებში და დაგეძებს, შენს მონატრებას სურათებთან ლაპარაკში იკლავს, საბრალო.

ძნელია ბიძაჩემო უშენობა და ძალიან, ძალიან მტკივნეულია შენი დაკარგვა იმის მიუხედავად რა დიდზე დიდი ტრაგედიებიც გადაიტანა ჩვენმა სანათესაომ ორი ოთოს გარდაცვალებით. შენი ამ ქვეყნიდან წასვლა ხომ განახლებული ტკივილია ჩვენთვის, რასაც ვერ ვეგუებით. დღესაც ყურებში ჩამესმის შენი ხმა — „ნანა, ნუნუ მანდ ხომ არ არის“ — ჩამესმის და გულს მიკლავს იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ... ასე იყო ჩემი საცოდავი ომარი ძიას გარდაცვალების შემდეგაც, იმიტომ, რომ ორივე ჩემი სიამაყეები იყავით!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი და სათნო სულები, ნათელი და სანთელი არ მოგკლებოდეთ იმ ქვეყნად არასოდეს.

მსუბუქი იყოს შენთვის, ჩემო საყვარელო ვაჟა ძია, ყვარლის მიწა. მენატრები უზომოდ!

**შენი მოსიყვარულე დისშვილი ნანა**

# ვაჟა (ელიზბარ) ოსიყმიშვილის გახსენება

ძვირფასო მამა, ძალიან მძიმეა იმის გააზრება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. უშენობით გამოწვეული ტკივილი არ ნელდება. გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ. გვინდა მოვიდეთ შენთან და ჩვენი სიხარული და ტკივილი გაგიზიაროთ, გვინდა მივიღოთ უწინდელივით რჩევები შენგან.

ვუყურებთ დედას და გული სიმწრით გვეკუმშება, ვხედავთ როგორ უჭირს უშენოდ და მაინც როგორ ცდილობს მყარად იდგეს ფეხზე, რათა ღირსეულად წარუძღვეს ჩვენს ოჯახს. ის გვაძლევს ძალას ვიყოთ ამაყები და ვიაროთ იმ გზით, რომელზეც შენ დაგვაყენე.

აგერ უკვე ოთხი წელია რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ტკივილითა და ცრემლით სავსე ოთხი წელი. ბევრი რამ მოხდა ამ წლების მანძილზე, შენ უკვე შვილიშვილიც გყავს, ნიკოლოზი, ის უკვე წლინახევრისაა და თავის პატარა ხელებით მოაქვს შენს საფლავზე ყვავილები. შენი ვაჟიკოც დაინიშნა, მალე ცოლს შეირთავს, შენ ნერვიულობდი მარის მომავალზეც, რათა მარის ესწავლა. მარი უკვე მეოთხე კურსზეა და წელს ამთავრებს სასწავლებელს.

ჩვენო ძვირფასო მამა, უსაზღვროა მონატრება ჩვენი შენდამი. შენს სახელზე დანთებული ყველა სანთელი გინათებდეს გზას იმ შორეულ ქვეყანაში, რასაც ცათა სასუფეველი ჰქვია.

მადლობა მამა, რომ არსებობდი. ვამაყობთ, რომ შენი შვილები ვართ... შენ აღარ გვყავხარ მაგრამ შენი ძვირფასი სახელი კვლავ ცოცხლობს ხალხში. გვიყვარხარ, გვაკლიხარ და გვენატრები...

„ათოვს მამის საფლავს,
ათოვს მარტოდმარტოს,
არც არაფერს ითხოვს,
არც არაფერს ნატრობს,
უიოლებს ზამთარს,
ჩიტუნია ართობს,
ათოვს მამის საფლავს,
ათოვს... ათოვს... ათოვს“...

**შვილები:**
**თეა, ვაჟა, მარი ოსიყმიშვილები**

# მანანა ჩახტაურის გახსენება



დედა, ოთხი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ოთხი უმძიმესი წელი. ძნელია უშენობა დედა, ძალიან ძნელია შენი მონატრება, ყოველი წუთი, წამი, თუ საათი სულ შენ გახსენებთ და ვიხსენებთ შენს მომღიმარ სახეს. შენ ჩაგვინერგე სიკეთე, როგორი კეთილიც შენ იყავი, ისეთი კეთილი ქმარშვილი დატოვე ოჯახში.

გაზაფხულის შემოსვლას და დაბადების დღეს გილოცავთ, დედა. 14 აპრილს სულ ფუსფუსში იყავი დეე, სულ გახარებული ეგებებოდი სტუმრებს. ახლა მანდ შეკრიბე შენი საყვარელი უბანი და ალბათ მანდ გადაიხდი დეე, დიდ დაბადების დღეს, ჩვენ კი მოვალთ საფლავზე და სანთლებს დაგინთებთ. ამ ოთხ წელში რამდენი რამე გადავიტანეთ, დედა, როგორ გვჭირდება შენი მხარში დგომა. მაგრამ შენ ხომ ზეცაში ხარ და მაღლიდან გვლოცავ. მამა სიკვდილს ხელებიდან გამოვგლიჯეთ. დეე, ერთმენთის გვერდში დგომა შენ გვასწავლე, შენ გვასწავლე, — არ დაეცეთ თორემ წამოდგომა ძალიან ძნელიაო, მაგრამ ვაი, რომ უშენოდ სულიერად განადგურებულები ვართ. დეე, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მოვალთ შენს დაბადების დღეზე და მოგილოცავთ, სანთლებს დაგინთებთ, რომ ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო საყვარელო დედა.

**ოჯახი**

**სანდრო მჭედლიშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება მეგობრის თამაზ წიწრიაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს დ ახლობლებს.**

**შპს „მედია-ცენტრის“ თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ლია გიგიტაშვილს მამამთილის ვახტანგ ხაჩიშვილის გარდაცვალების გამო.**

# საშინელი ბუნებრივი კატასტროფები, რომლებიც უახლოეს მომავალში მოხდება



ამ სტატიაში თქვენ შეიტყობთ ხუთი ყველაზე დიდი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ, რომლებიც სამეცნიერო ცნობებზე დაყრდნობით, უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს.

მიწისძვრა და ცუნამი (ორეგონის შტატი, ამერიკა 2015-2065 წლების განმავლობაში)

სეისმური უსაფრთხოების კომისიის ცნობით, უახლოესი 50 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს 8-9 ბალიანი მიწისძვრა, რომელიც ცუნამის წარმოქმნას გამოიწვევს. ამის მიზეზად სახელდება დედამიწის ბირთვის 1287 კილომეტრიანი ბზარი, რომელიც ორეგონის შტატიდან 97 კილომეტრში მდებარეობს.

ამერიკის დასავლეთ სანაპიროს შტატები წყლით დაიფარება (2050-2100 წლების განმავლობაში)

2012 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად დადგინდა, რომ 1987 წლიდან მოყოლებული ზღვის დონე დასავლეთ სანაპიროზე 0,3 კილომეტრით არის მომატებული. ეს სამჯერ მაღალია დედამიწის ნებისმიერ წერტილთან შედარებით. წყლით დაფარვის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არის ნიუ იორკი, სადაც ნავარაუდევია, რომ 35 წელიწადში ზღვის დონე 79 სანტიმეტრით აიწევს.

მეგამიწისძვრა (კალიფორნიის შტატი, ამერიკა 2015-2045 წლების განმავლობაში)

ამერიკის გეოლოგიური სამსახური იტყობინება, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში კალიფორნიას 8 ბალიანი მიწისძვრა დაატყდება თავს. პროგნოზის თანახმად, მიწისძვრა შტატის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ის დიდი ავტოსტრადების და შენობების სერიოზულ კოლაფსს გამოიწვევს.

ყველა დროის ყველაზე ძლიერი ცუნამი (კარიბის აუზი, ზუსტი თარიღი უცნობია).

მეცნიერების საიმონ დეის და სტივენ უორდის გათვლებით, ვულკანი კუმბრე ვიეხა კანარის კუნძულებიდან ლავის ამოფრქვევას დაიწყებს, რაც გამოიწვევს ყველაზე მასშტაბური ცუნამის წარმოქმნას. თუ კუმბრე ვიეხა ამოხეთქავს, მისი მარცხენა ნაწილი ჩამოიშლება, რაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერ ცუნამის გამოიწვევს. ტალღა დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლის იქნება და 800 კილომეტრი საათში სიჩქარით იმოძრავებს. ცუნამის შედეგად დაზარალდება ინგლისი, ფლორიდა და კარიბის აუზში მყოფი ქვეყნები.

ვულკან ფუძიამას ამოფრქვევა (იაპონია 2015-2053 წლების განმავლობაში) 2011 წელს კუნძულ ჰონსიუზე მომხდარმა მიწისძვრამ ოცი ვულკანი მოიყვანა მოქმედებაში. ამის გამო ექსპერტები თვლიან, რომ რომელიმე მათგანი მალე ამოხეთქავს. იაპონური მეტეოროლოგიის სააგენტო გამუდმებით იკვლევს სეისმურ აქტივობას. იაპონიაში არსებული ათასი ვულკანიდან 47 ითვლება აქტიურად. მეცნიერების გამოთვლით, ყოველ 38 წელიწადში მინიმუმ ერთი ვულკანი უნდა იწყებდეს ლავის ფრქვევას. 2014 წლის ივლისში ფრანგი და იაპონელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იაპონიაში უახლოეს მომავალში ამოფრქვევას დაიწყებს ფუძიამა. ფუძიამა ტოკიოდან ასი კილომეტრითაა დაშორებული. ამის გამო ქალაქიდან სასწრაფოდ გახდება საჭირო 750 000 ადამიანის ევაკუაცია, რადგან ქალაქი მთლიანად ფერფლით დაიფარება.

# სალათის ფოთლების სასარგებლო თვისებები

ხშირ შემთხვევაში სალათის ფოთლებს იყენებენ კერძების გასალამაზებლად სუფრაზე და მოხმარების შემდეგ ყრიან.არავინ არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა სასარგებლო თვისებები აქვს სალათის ფოთლებს.სალათა მიეკუთვნება ბოსტნეულ კულტურას,რომელიც გამოიყენება სალათების დასამზადებლად. არსებობს 100 სახის სალათა, რომელთა უმრავლესობა მოდის ხმელთაშუა ქვეყნებში.

სალათა შეიცავს უზარმაზარ სასარგებლო ნუტრიენტების ჩამონათვალს . ის შეიცავს დიდი რაოდენობით ორგანულ მჟავებს,ვიტამინების ჯგუფს B, A, K, E, PP, C,ასევე არის მასში კაროტინი, რკინა, იოდი, კალიუმი, კალციუმი, ასევე შეიცავს ბოჭკოს და კიდევ ცილას.

რა სარგებლობა მოაქვს სალათს ორგანიზმისათვის?პირველ რიგში, მისი მიღება დადებითად მოქმედებს კუჭნაწლავის სისტემაზე, მოჰყავს პროცესები ნორმაში.ძალიან სასარგებლოა სალათის ფურცლები ათეროსკლეროზის დროს , აგრეთვე მწყობრში მოჰყავს ნერვული სისტემა.სალათა რეკომენდირებულია მათთვის, ვინც ხშირად განიცდის მუდმივ გონებრივ დაძაბულობას, ისააუმჯობესებს მეხსიერებას და ხსნის დაძაბულობას მძიმე დღეებში.განსაკუთრებით სასარგებლოა სალათის ფოთოლი იმ ადამიანებისთვის ვისაც აწუხებს უძილობა. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ ტიპის მცენარე ეხმარება მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ძუძუს კიბოს რისკის შემცირებაში. თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება სალათის სასარგებლო თვისებები.

ხალხურ მედიცინაში აქტიურად მოიხმარენ სალათს.ცოტა ხნის წინ დადგინდა, რომ მის შემადგენლობაში შედის ინსულინი. ეს აღმოჩენა სალათს ფასეულს ხდის მათთვის ვინც დაავადებულია შაქრის დიაბეტით.სალათა აგრეთვე ეხმარება ორგანიზმს დიდი რაოდენობით ქოლესტერინის განდევნაში.სალათი არ აძლევს საშუალებას ქოლესტერინის განთავსებას სისხლძარღვების კედლებზე და სხვა ორგანოებზე და მალე დევნის მას ორგანიზმიდან.სალათის მიღებისას მაგრდება სისხლძარღვების კედლები და კაპილარები ჩვენს ორგანიზმში.

სალათა შეუდარებელი პროდუქტია გასაახალგაზრდავებლად.ის კანზე საკმაოდ კარგად მოქმედებს, მისი ხშირი მიღება აუცილებელია.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ბოსტნეულის მიღება მეძუძური დედებისთვის, რადგან ხელს უწყობს რძის გამოყოფას.დაბალი სექსუალური აქტივობის დროს მისი მიღება ააქტიურებს ორგანიზმს.მისი მიღება შესაძლებელია რაოდენობის განსაზღვრის გარეშე, რადგან ის არ მოქმედებს წონაზე.100 გრ სალათა შეიცავს მხოლოდ 12 კალორიას.მისი მცირედი რაოდენობის მიღების დროსაც კი მალევე ნაყრდებით.მისი დაქუცმაცება არავითარ შემთხევაში არ შეიძლება დანით, რადგან მეტალთან შეხებაში ის მუქდება და კარგავს სასარგებლო თვისებებს.კარგია თუ სალათს დავამატებთ ზეითუნის ზეთს, რადგან ის აძლიერებს ეფექტს ყველა ნივთიერებებისას.

სალათა რამდენიმე დღე ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს მას შემდეგ , რაც ის მოჭრეს.სალათის ფურცლებიდან გამონაწურ წვენს იყენებენ შეტევების და მწვავე გასტრიტის დროს,კუჭის და თორმეტგოჯა წყლულების,ასევე ნებისმიერი ტკივილის და კუჭნაწლავის სტიმულაციისათვის.წვენს ღებულობენ 1 ჩაის კოვზი (დაავადების გამწვავების დროს ნახევარი ჭიქა) დღეში სამჯერ უზმოზე. სალათის წვენი სწრაფი გამოსაფხიზლებელია ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს

გახსოვდეთ! მწვანე სალათა სასარგებლოა როგორც მოზრდილთათვის ასევე ბავშვთათვის.

# გიწვევთ, მსახიობის ოსტატობის, მეტყველების და მხატვრული კითხვის შემსწავლელი სტუდია

ყვარლის , კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში მოზარდებისთვის ჩამოყალიბდა მსახიობის ოსტატობის, მეტყველებისა და მხატვრული კითხვის შემსწავლელი სტუდია, სადაც მეცადინეობებს მსახიობი ვაჟა ბენაშვილი ატარებს. როგორც ჩვენთან საუბარში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ანდრია თავბერიძემ განაცხადა — ეს მნიშვნელოვანი პროექტია. გარდა იმისა, რომ მეცადინეობები უფასოა და ბავშვები სურვილის შემთხვევაში დაეუფლებიან მეტყველებას და მხატვრულ კითხვას ასევე, ეს იქნება მოსამზადებელი პერიოდი სპექტაკლისთვის. ანუ, ამ სტუდიის ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში-" ჰელადოსი", რომელიც ყვარლის სახალხო თეატრში მაისისთვისაა დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, ბავშვებს შეუძლიათ მიმართონ ვაჟა ბენაშვილს, ტელ-551 88 00 17 ან მიბრძანდნენ ყვარლის მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში.

**ია გიგიაშვილი**

# პირობით მსჯავრდებულების მონაწილეობით ყვარელში ხეები დაირგა



„ილიას ტბაზე" კიპარისის ხის სამოცი ნერგი პირობით მსჯავრდებულების მონაწილეობით დაირგა. აქციას პრობაციის ყვარლის ბიუროს ოფიცერი სიმონ ოსიაშვილი ხელმძღვანელობდა. მათთან ერთად აქციაში „წითელი ჯვრის" ყვარლის ორგანიზაციის მოხალისეები და „ილიას ტბის" თანამშრომლები მონაწილეობდნენ.



# იაპონელმა დიზაინერმა „უჩინარი" მატარებელი შექმნა

იაპონელი დიზაინერის, კაძუო სეჯიმას მიერ შექმნილი მატარებელი წარმოებაში 2018 წლისთვის უნდა გაეშვას. ტრანსპორტის ახალი მოდელი სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ მას გარშემო არსებულ პეიზაჟთან შეუძლია შერწყმა.

„უჩინარი" მატარებელი გარეგნული იერსახის გარდა, შიდა დიზაინითაც გამოირჩევა, შექმნელები მის კუპეს ნამდვილ „სასტუმროებს" ადარებენ.

როგორც ცნობილია, ახალი დიზაინით შექმნილი მატარებლები იაპონიის მთელ ტერიტორიას მოიცავენ და იმ შემთხვევაში თუკი დიზაინი პოპულარული გახდება, ისინი თანდათან ჩაანაცვლებენ სტანდარტულ მატარებლებს.

www.dezeen.com



# 1989 წლის 9 აპრილი

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის ნაწილებმა დილის 4 საათზე მთავრობის სახლის წინ მომიტინგეები არნახული სისასტიკით დაარბიეს. ოფიციალური მონაცემებით, მანიფესტაციის დაშლის დროს 16 კაცი ადგილზე დაიღუპა. მათ შორის 14 ქალი იყო, ერთი მათგანი – ორსული. ბარბაროსულად მოკლულთა შორის კი ყველაზე ახალგაზრდა 16 წლის გოგონა გახლდათ.თბილისში დემონსტრაციის სისხლიანი დარბევა მიჩნეულია შემოტრიალების წერტილად საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში.



ყველაფერი კი ასე დაიწყო: აფხაზეთში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" მიტინგებს ატარებდა. ერთ-ერთი აქციის შემდეგ სოხუმისაკენ მიმავალ ავტობუსს, რომელშიც მომიტინგეები ისხდნენ, თავს დაესხნენ (მიტინგი ანტიაფხაზური კი არა, ანტიიმპერიალისტური იყო) . 1989 წლის 2 აპრილს ამის გამო სოხუმში გრანდიოზული აქცია გაიმართა, რომელშიც ბევრი აფხაზი მონაწილეობდა. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ" ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკების პროვოცირების თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის ცენტრის თბილისში გადატანა გადაწყვიტა.

4 აპრილიდან თბილისში საყოველთაო გაფიცვა დღის 3 საათზე დაიწყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე სტუდენტების მიტინგი გაიმართა. მონაწილეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამავე საღამოს, 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კიდევ ერთი მიტინგი მოეწყო. გადაწყდა, აფხაზეთის




საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ, საქართველოში დროებითი მთავრობა შექმნილიყო და ავტონომიური ფორმირებები გაუქმებულიყო. ამის შემდეგ მომიტინგეთა უმრავლესობა მთავრობის სახლისაკენ გაემართა. შედგა ახალი მიტინგი, რომელიც მეორე დილის 5 საათისათვის დამთავრდა, როცა ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა.

5 აპრილს აფხაზეთის პრობლემატიკამ მომიტინგეთათვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ორატორთა გამოსვლებში აქცენტი სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის მოთხოვნაზე გაკეთდა. ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოგვარდებოდა. მომიტინგეებს თანდათან სხვადასხვა საწარმოებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები უერთდებოდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც შენობებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს არ უშვებდნენ და გაფიცვისკენ მოუწოდებდნენ. გამოცხადდა, რომ თუ არ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა, საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსულიყო, საყოველთაო-ეროვნული გაფიცვა და მასობრივი შიმშილობა დაიწყებოდა.

7 აპრილისათვის მთავრობის სახლის წინ უკვე საშუალოდ 10-20 ათასი კაცი იმყოფებოდა. ერთ-ერთმა ლიდერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს მიმართა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გამოყენება ეცნოთ.

მომიტინგეთა მოთხოვნები ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 8 აპრილს, კრემლის ზეგავლენით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მომიტინგეთა დარბევის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს. გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები მკაცრდებოდა. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების შეჩერების მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით კი მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი შეიქმნა.

8 აპრილსვე დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმა, თითქოს შინაგან სამინისტროს სპეციალურ ქვედანაყოფებს მიტინგის დაშლის შესახებ მითითება ჰქონდათ მიცემული. ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ლიდერების ხელმძღვანელობით მიტინგის ადგილის ირგვლივ მდებარე ქუჩების ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით ჩაკეტვა დაიწყეს. ლიდერები შეკრებილთ მოუწოდებდნენ, არ წასულიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ნაწილები გამოჩნდებოდნენ. მათ ყურად არ იღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის – ილია მეორის მოწოდება სასწრაფოდ დაშლის შესახებ

9 აპრილის დილისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები ბრძანების შესასრულებლად მზად იყვნენ. მომიტინგეთა დაშლა საქართველოს მილიციასაც კი არ ანდეს. მოსკოვიდან თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით გამოაგზავნეს. მიტინგის დარბევას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ალყა ყველა მხრიდან შემოარტყეს. შეიარაღებულნი იყვნენ სელკეტებით, ორლესული მახვილებითა და მომწამვლელი გაზით.

მთავრობის სასახლის წინ ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა და მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა. უმწეო მსხვერპლთ ალესილ ნიჩბებსა და ხელკეტებს ურტყამდნენ შეძახილებით „სტალინისათვის!". მიტინგი სულ რამდენიმე წუთში დაიშალა. მოედანზე მხოლოდ საშინლად დასახიჩრებული და ბარბაროსულად მოკლული ადამიანების გვამები დარჩა. 200-ზე მეტი კაცი გაზით მოიწამლა, მრავალი კი – დაიჭრა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ქიმიური იარაღიც იყო გამოყენებული. ექიმები დაზარალებულებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან არ იცოდნენ ამ ქიმიური იარაღის შემადგენლობა. სამხედროებმა კი, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო არ გაამხილეს. 9 აპრილს უღმერთო-კომუნისტურმა სადამსჯელო ორგანობმა ადამიანების მოსაწამლად გამოიყენეს მანამდე უცნობი ქიმიური შემადგენლობის მომწამვლელი გაზი, რომლის გამოყენებაც აკრძალული იყო საერთაშორისო კონვენციით.

9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, კიდევ უფრო შეუპოვარი გახდა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. და აი, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობას მიეცა საშუალება, აერჩია ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს უახლეს ისტორიაში 9 აპრილი შევიდა როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ დღეს ქართველი ერის ზეიმს სევდაც დაჰკრავს ეს დღე 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ სასანგრე ნიჩბებით აჩეხილი ქართველების ხსოვნის დღე არის

საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და 9 აპრილი, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა!

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი". გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86